გაზეთი ბევრის, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№15 (1041) 11 – 12 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ავტოგაზი კიდევ გაძვირდება?!

გვ.7

სქემა, რომლითაც პარლამენტი დაიშლება და ღარიბაშვილს პოსტიდან გაუშვებენ

ვადამდელი არჩევნები 76 მილიონად?! გვ.3

დასავლეთი რუსეთს სვიფტიდან გათიშვით ემუქრება

რა შედეგი მოჰყვება სანქციის უკიდურეს ფორმას — „პროცესი დარის გაცვლით კურსსაც დაასარადებს. ბევრი ქართველი დაკარგავს სამუშაო ადგილს რუსეთში"

გვ.5

„ოცნება" რუსეთთან წაგებულ თამაშში არ ჩაერთვება

გვ.6

რა საფრთხეებს უნდა ველოდეთ მოსკოვიდან

ექსკლუზიური ინტერვიუ კონსტანტინე გამსახურდიასთან

რატომ სურს „სამართლიანობის აღდგენის საბჭოს" შექმნა და რატომ აანონსებს აქციებს პარტია „თავისუფლების" ლიდერი

გვ.4

მეთევზეები გარემოს დაცვის მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ

„თუ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, უკიდურეს ზომებს მივმართავთ!"

გვ.9

თიბისი ბანკი
TBC BANK

სამთო ტურიზმის განვითარებისთვის დაჯილდოვდა

სვანური ვენდეტა ზონაზე

რატომ არ გამოასალმა სიცოცხლეს პატიმარმა 24 წლის ბიჭის მკვლელი

პატიმრის დღიური

ვინ არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის რეალური კანდიდატები — ტოპ-ხუთეული 36-კაციანი სიიდან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უზენაესი სასამართლოს პირველი პირის გვარი ჯერ არ დასახელებულა, მაგრამ ამ ბნელი გვირაბის ბოლოს სინათლე მაინც გამოჩნდა — პრეზიდენტი მარგველაშვილი პარლამენტს მოსამართლის კანდიდატურას 23 თებერვალზე გვიან ვერ წარუდგენს, რადგან კონსტანტინე კუბლაშვილს ვადა სწორედ ამ დღეს ეწურება. 10 თებერვალს, საღამოს 7 საათზე კი კანდიდატად დარეგისტრირების ვადაც ამოიწურა.

უკვე გამოქვეყნდა თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულ კანდიდატთა 36-კაციანი სია, საიდანაც 8 პირმა მისი კანდიდატურის განხილვაზე უარი თქვა. 28-კაციანი სია კი ასეთია: დავით ასათიანი, მამუკა ახვლედიანი, ირაკლი ბურდული, მერაბ გაბინაშვილი, გოჩა გოგიშვილი, ნინო გვენეტაძე, ევა გოცირიძე, ანა დოლიძე, ინგა თოდრია, ავთანდილ კახნიაშვილი, დავით კოღუაშვილი, ალექსი კობაიძე, კობა კობახიძე, თამარ ლალიაშვილი, გია მეფარიშვილი, როინ მიგრიაული, მამუკა მდინარაძე, ნოდარ მილაძე, ლევან მურუსიძე, მურმან ქამადაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, მადონა ღიბრაძე, შალვა შავგულიძე, მარიამ ცისკაძე, მარინე ჭყონია, რომული ჯაფარიძე, თეიმურაზ ჯორბენაძე და გიორგი ჯუღელი. „ვერსია“ აქტიურად წერდა სავარაუდო კანდიდატთა სიების შესახებ, რომელთა შორის, ევა გოცირიძე და გია მეფარიშვილი ლიდერობდნენ, დავასახელეთ ნაციონალებსა და კუბლაშვილთან ასოცირებული კანდიდატებიც. ყველა ეს ინფორმაცია გამართლდა, მაგრამ საპარლამენტო კულუარებში ყოველთვის გამორიცხავდნენ, რომ ხიდაშელი-ქუცნაშვილი და სხვა დეპუტატები კანდიდატთა სიაში იქნებოდნენ. თუმცა ასე არ მოხდა და სიაში 2 დეპუტატი მაინცაა. რეგისტრაციასა და მისი კანდიდატურის განხილვაზე კი უარი ლეიბორისტების მიერ დასახელებულმა ჯონი ხეცურიანმა, ასევე, დარეჯან გოგიბერიძემ, ნუნუ კვანტალიანმა, დავით მამისეიშვილმა, დავით სულაქველიძემ, იური ტაბუცაძემ, ნათია წკეპლაძემ, ლადო ჭანტურიამ და თინათინ ხიდაშელმა თქვეს.

ამ 28 კანდიდატიდან ზოგი კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს, რაც ზეპარტიულობას, სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილებასა და მიუკერძოებლობას გულისხმობს, ზოგიც საზოგადოებისთვის მეტისმეტად უცნობია. ზოგზე კი საინტერესო ინფორმაციები ვრცელდება. მაგალითად, **ლევან ასათიანზე,** რომელიც კუბლაშვილის მარჯვენა თუ არა, მარცხენა ხელად მოიაზრება. ადვოკატთა ასოციაციის მიერ მისი დასახელება კი ეჭვს იწვევს. თურმე, მანამდე, ზაზა ხატიაშვილსა და ასოციაციას დავით ლანჩავასა და ზვიად კორძაძის კანდიდატურები უნდა დაესახელებინა, თუმცა ბოლო მომენტში, არჩევანი ასათიანზე შეაჩერა. დავით ლანჩავა კი ადგა და მამუკა ახვლედიანის კანდიდატურა აქეთ დაასახელა. სასამართლოს კონტროლისთვის ბრძოლაში ექსპერტი თუ „ოცნების“ „რუხი კარდინალი“ გია ხუხაშვილიც ჩაერთო, რომელიც მხარს ყოფილ მოსამართლე **თამარ ლალიაშვილს** უჭერს. იგი ოფიციალურად, ლია მუხაშავრიას ორგანიზაციამ წარადგინა. ლია მუხაშავრია კი ხუხაშვილს „იმედის“ ტელეპროექტიდან დაუმეგობრდაო, ამბობენ კულუარებში. ამ მარათონში ყოფილი მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილიც ჩაერთო, რომელსაც ცისკაძის სიძედ იცნობენ — ამ სიაში **მარიამ ცისკაძის** კანდიდატურაც გამოჩნდა, რომელიც არჩილ კბილაშვილის ნათესავია, ნაციონალების დროს კი „ეროვნულ ბანკში“ მუშაობდა. „ვერსიას“ საინტერესო ინფორმაციას კიდევ ერთი კანდიდატი, სამართლის დოქტორი ავთანდილ კახნიაშვილი თავის კონკურენტ **ირაკლი ბურდულზე** აწვდის — იგი ბურდულს, რომელიც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანია, უზენაეს სასამართლოში უჩივის და საბუთების, რეკომენდაციის გაყალბებასა და საკუთარი კადრების კონკურსის გარეშე დანიშვნას ედავება. აი, ტოპ-ხუთეული კი ასე გამოიყურება: **ზაქარია ქუცნაშვილი**, რომელზეც ხუმრობენ, მამის ძმაკაცმა მშენებლებმა დაასახელესო. სხვთაშორის, მისი გვარი რამდენიმე დღის წინ ზაზა ხატიაშვილმაც გააჟღერა, ხოლო სპეციალურ ბრიფინგზე დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ განაცხადა, რომ პარლამენტის რამდენიმე წევრი მხარს სწორედ ქუცნაშვილს უჭერს. თუმცა სათუოა, ორიოდ თვის წინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კონსტიტუციით ხელში მისულ ქუცნაშვილს მარგველაშვილი ამ წყენას ასე ადვილად თუ დაუვიწყებს. რეალური კანდიდატია **ნინო გვენეტაძეც,** რომლის სახელი საზოგადოებამ ჯერ კიდევ ნაციონალების დროს, უზენაესი სასამართლოდან 4 „დაუმორჩილებელი“ მოსამართლის გამოგდებისას გაიგო. გვენეტაძე 2012 წლიდან სამართლის სისტემის რეფორმიების ჯგუფში, „ოცნებასთან“ მუშაობდა და ამავე წელს, როცა მომავალი ხელისუფლება კუბლაშვილისთვის იმპიჩმენტის მოწყობაზე საუბრობდა, მის ჩამნაცვლებლად სწორედ გვენეტაძე მოიაზრებოდა. იგი არასამთავრობო სექტორის საკმაოდ მნიშვნელოვანმა წარმომადგენლებმა დაასახელეს. კიდევ ერთი პარტიულ-პოლიტიკური კანდიდატი **შალვა შავგულიძეა** — „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, ოპოზიციონერი დეპუტატი პარლამენტში, რომელიც მისი კომპეტენტურობისა თუ განათლების მიუხედავად, ალბათ მუდმივად დატოვებს კითხვას — არის თუ არა იგი მიუკერძოებელი და პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი? დიდი ალბათობით, მას მხარს ელისო ჩაფიძე არა, რესპუბლიკელები დაუჭერენ, ცხადია, ალასანიას პარტიის სხვა დეპუტატებთან ერთად. შავგულიძე კანდიდატად სწორედ მისმა პარტიამ წარადგინა. დაქსაქსული პარლამენტის მესამე ნაწილი კი, რაც ჭორი ნამდვილად არ არის და „ვერსიისთვის“ ცნობილი თავად დეპუტატებისგან გახდა, **ევა გოცირიძეს** უჭერს მხარს. კარგი რომაა, ზუსტად ამიტომ დაინიშნა უზენაეს საბჭოში, გამოგვიცხადეს პარლამენტში. მას მხარს ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან კომიტეტში უჭერენ, „ოცნების“ წრეებთან კი მისმა მეუღლემ, პირველმა ქართველმა მოსამართლემ სტრასბურგში, მინდია უგრეხელიძემ დააახლოვა. უგრეხელიძე „ოცნების“ სამართლის რეფორმირების ჯგუფში მუშაობდა. ევა გოცირიძე მისმა კოლეგებმა დაასახელეს უზენაესი საბჭოდან. ბოლო კანდიდატი ტოპ-ხუთეულიდან ყოფილი გენპროკურორი **გია მეფარიშვილია,** რომელსაც ლამის ყველაზე მეტი წარმდგენ-გულშემატკივარი ჰყავს, თუმცა „ოცნებაში“ — ნაკლებად. და ბოლოს, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე საინტერესო განცხადებას ავრცელებს და ამბობს, უკვე არსებობს 28 კანდიდატის სია. ამიერიდან, პირობითად, მეორე ეტაპი იწყება, რომელიც გულისხმობს წარდგენილი კანდიდატების შერჩევასო. ასევე, გათვალისწინებული იქნება ის კრიტერიუმებიც, რაც არასამთავრობოთა და სხვადასხვა პოლიტიკურ ძალათა მიერ შემუშავდაო. ამ რეკომენდაციათა შორის ზეპარტიულობაც შედის, ამიტომ, შესაძლოა, ეს განცხადება დეპუტატი კანდიდატებისთვის წინასწარი სიგნალიც აღმოჩნდეს — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე პარტიული წარმომადგენლის დანიშვნა, ალბათ, არ ღირს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი უნგრელ კოლეგას შეხვდა

უნგრეთის მთავრობის მეთაური ქართველ კოლეგას მარშითა და საპატიო ყარაულის თანხლებით დახვდა. დახვედრის ოფიციალურ ცერემონიაზე შესრულდა საქართველოსა და უნგრეთის სახელმწიფო ჰიმნები. პირისპირ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობის ძირითადი საკითხები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე. საუბარი შეეხო საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის და ნატო-ში გაწევრიანების თემებს. აღინიშნა ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესი.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო მყარად დგას ევროინტეგრაციის გზაზე და განაგრძობს ნატო-ს მიმართულებით სვლას, რაც არის ქართველი ხალხის არჩევანი. მანვე მადლობა გადაუხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრს ნატო-ს უელსის სამიტზე მიღებული „არსებითი პაკეტის“ განხორციელების პროცესში უნგრული მხარის ჩართულობისათვის.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე. ვიქტორ ორბანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა უნგრეთის სრული მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.

საქართველოსა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრების გაფართოებულ შეხვედრას საქართველოს დელეგაციის წევრები და უნგრეთის მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალიას და ტურიზმში ურთიერთობების გააქტიურების მნიშვნელობაზე. აღინიშნა, რომ 2014 წლიდან ქუთაისიდან ბუდაპეშტის მიმართულებით პირდაპირ საჰაერო მიმოსვლას ახორციელებს უნგრული ავიაკომპანია Wizz Air, რამაც საგრძნობლად გაზარდა ტურისტთა რაოდენობა და გაამარტივა მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის. ყურადღება გამახვილდა სოფლის მეურნეობაში სფეროში უნგრეთის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე. ისაუბრეს ასევე საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესზე და ნატო-ში გაწევრიანების საკითხებზე. შეხვედრაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობაც განიხილეს. გამოითქვა შეშფოთება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმებსა და მოსკოვს შორის ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებების გაფორმების გამო, რაც საქართველოს ამ რეგიონების ანექსიისაკენ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი უნგრეთში მთავრობის დელეგაციასთან ერთად იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა უნგრეთის მთავრობის წარმომადგენლებსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

„პირველი“

გიორგი ბერუაშვილი საპატიო ყარაულით დაკრძალეს

შს მინისტრი ვახტანგ გომელაური სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელის დაკრძალვას დაესწრო და ოჯახს მიუსამძიმრა.

გიორგი ბერუაშვილი შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობდა.

გარდაცვლილი პოლიციელის დაკრძალვის ხარჯები შინაგან საქმეთა სამინისტრომ სრულად გაიღო. კანონის შესაბამისად, გარდაცვლილი უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ გიორგი ბერუაშვილის ოჯახი ფინანსურ კომპენსაციას მიიღებს, მის ოჯახის წევრებზე მზრუნველობას კი შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს. გიორგი ბერუაშვილი მიმდინარე წლის 6 თებერვალს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში გარდაიცვალა. მდგომარეობის სიმძიმის გამო საზღვარგარეთ სამკურნალოდ მისი გადაყვანა ვერ მოხერხდა, თუმცა ექიმებმა პოლიციელის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთეს.

გიორგი ბერუაშვილი 23 იანვარს ლიკანში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, პატრულირებისას, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევმა, ბორჯომში მცხოვრებმა, 1977 წელს დაბადებულმა შალვა აბულაძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა. ინტენსიურად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შალვა აბულაძის დასაკავებლად.

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სქემა, რომლითაც პარლამენტი დაიშლება და ღარიბაშვილს პოსტიდან გაუშვებენ

ვადამდელი არჩევნები 76 მილიონად?!

ვადამდელი არჩევნების ყველა შესაძლო და შეუძლებელი სცენარიც კი, მედიამ და პოლიტიკოსებმა, დიდი ხანია, მიმოვიხილეთ. თუმცა ერთი ისეთი ვერსია დარჩა, რომელსაც ყველა უყრუებს, არადა, „ვერსიის“ ინფორმაციით, დეპუტატები, უფრო სწორად, კონკრეტულად პარტია „ოცნების“ საპარლამენტო გუნდი, პარტიის შიგნით, სწორედ ამ ვარიანტს ამუშავებს.

რიგგარეშე არჩევნების თემა ხელახლა უმრავლესობის წევრებისა და თავად ბიძინა ივანიშვილის განცხადებებმა წამოწია. ვადამდელი არჩევნების შესახებ, ბოლო დროს, ტელეეთერიდანაც და საპარლამენტო ტრიბუნიდანაც ხშირად ვისმენთ. ერთ-ერთი ბოლო განცხადება ჩვენთან ინტერვიუში და მოგვიანებით, ერთ-ერთ ხმაურიან სხდომაზე ქუთაისში საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ისნის მაჟორიტარმა, **ალექსანდრე ქანთარიამ** გააკეთა: **„მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ არ გავჩერდებით და სამართლიანობას აუცილებლად აღვადგენთ. შესაძლოა, ამისთვის ვადამდელი არჩევნებიც დაგვჭირდეს და ამაზეც უნდა წავიდეთ“.** ამ განაცხადებამდე ორი დღით ადრე ვიცე-სპიკერმა **მანანა კობახიძემ** რიგგარეშე არჩევნებს საინტერესო ახსნა მოუძებნა: **„ვადამდელი არჩევნები დალაგებულ ქვეყნებშიც ტარდება, მაგალითად, შვედეთში. თუ კონსტიტუციური საფუძველი შეიქმნა, ამის გაკეთება საქართველოშიც არ იქნება პრობლემა. ეს არ იქნება განსაკუთრებული გამოწვევა ქვეყნისთვის, ამასაც გავუმკლავდებით“.** ამ ყველაფერს რამდენიმე დღით უსწრებდა **ბიძინა ივანიშვილის** განცხადება: **„თუ საჭიროა, ვადამდელი არჩევნებიც ჩატარდება. თუ პროცესები ისე განვითარდა, რომ ეს აუცილებლობა დადგა, ამაშიც არაფერია კატასტროფული“.** განცხადებების ამ კასკადს მასმედიაც შეეშველა და ვადამდელი არჩევნების სავარაუდო თარიღებიც კი გახდა ცნობილი.

„ვერსიას“ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის კულუარებიდან აცნობეს, ყოფილ პრემიერს, 2016 წლის შემოდგომის ნაცვლად, საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა 2015 წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში სურს და ამისთვის პარტიასაც ამზადებსო. პირად საუბარში დიდი ხანია, ყველა ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილი მის მიერ შექმნილ პარტიას აძლიერებს და არა კოალიციას — იმასაც ამბობენ, შორსმიმავალი გეგმები აქვს და სურს, მომავალი საპარლამენტო უმრავლესობა მხოლოდ მისმა პარტიამ დააკომპლექტოს, რადგან მრავალპარტიულობის ტესტი ამ მოწვევის პარლამენტმა ვერ ჩააბარაო. გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ოცნების“ პარტიული ლიდერები რეგიონებში გასვლითი შეხვედრების რეჟიმზე აქტიურად გადავიდნენ. ამას თან დაერთო უამრავი ახალი ვაკანსიის გამოჩენა საჯარო უწყებებში, როგორც ხალხის გულისმოგების ერთ-ერთი გზა. მოკლედ, თუ არასაპარლამენტო წყაროებს დავუჯერებთ, „ოცნება“ სრული სვლით რიგგარეშე არჩევნებისკენ მიდის. თუმცა „გაბრაზებულ“ ოპოზიციაზე სანდო, ალბათ, სახელისუფლო კულუარებია, სადაც აზრი ორადაა გაყოფილი. როგორც „ვერსიას“ უმრავლესობის ერთ-ერთმა დეპუტატმა გაუმხილა, მაჟორიტარები, რომელთაც ისედაც წყალი აქვთ შემდგარი, ვადამდელ არჩევნებზე სასტიკ უარს აცხადებენ, განსაკუთრებით ისინი, ვინც იცის, რომ მომავალ არჩევნებზე საერთოდ არ წარადგენენ, ან პარტიულ სიაში აღარ დააზღვევენ. უარზეა პარტია „ოცნების“ ნაწილიც:

> **ვადამდელ არჩევნებს მხარს რესპუბლიკელები, ეროვნული ფორუმი და კონსერვატორები უჭერენ — ყველაზე არეული ფონი „ოცნებაშიაო“. „ოცნება“ ცალკე პოლიტიკურ სუბიექტად ვერ შედგა და ამაზე პარტიის წევრები ერთმანეთშიც ღიად საუბრობენ, კოალიციის დანარჩენმა, მეტ-ნაკლებად ძლიერმა პარტიებმა კი ზუსტად იციან, ვის რამდენი კაცი ჰყავს პარტიაში, ვის რამდენი მანდატი ექნება მომავალ გადანაწილებაში, ერთი სიტყვით, იციან, რაზეც „ივაჭრონ“, „ოცნებაში“ კი ყველაფერი არეულია და ერთ აზრზეც ვერ ვთანხმდებითო.**

თუმცა, შესაძლოა, საპარლამენტო უმრავლესობა, ერთ აზრამდე კოალიცია „ოცნების“ რეიტინგის შეუქცევადმა ვარდნამ მიიყვანოს: თუ ხელისუფლება, კვლევების შედეგად, რეალურ სურათს მიიღებს და დარწმუნდება, რომ 2016 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებში ასე დამაჯერებლად ვეღარ გაიმარჯვებს, არჩევნებს ამ წლის შემოდგომაზე, ანდაც, მაისში გადმოწევს. ერთი სიტყვით, „ოცნება“ მიხვდა ან მიახვედრეს, რომ, თუ პარლამენტში იგივე შემადგენლობით შესვლა სურს, საარჩევნო ციკლი არ უნდა დაასრულოს და „სიის შემქმნელებს“ უკეთესი კანდიდატების შერჩევის დრო არ მისცეს. თუმცა ვადამდელ არჩევნებს კონსტიტუციური საფუძველიც სჭირდება: ასეთი ბიუჯეტის ჩაგდება და მთავრობის დათხოვნა იყო და ეს შანსი პარლამენტმა უკვე „გამაზა“. კიდევ ერთი ვარიანტი, პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებაა. არ უნდა დაგვავიწყდეს მინისტრების შეცვლის ლიმიტი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილს არც შს სამინისტროში დატრიალებული ცვლილებებით ამოუწურავს. მეტიც, ახალი კაბინეტის დაკომპლექტებამდე, პრემიერს, სულ მცირე, 5 მინისტრის მოხსნა კიდევ შეუძლია. ამიტომ, 2015 წლის გაზაფხულ-შემოდგომამდე არც ეს ვარიანტი ივარგებს. რჩება ქუჩაში ხალხის გამოყვანა და კონსტიტუციის მეხუთე მუხლის ამოქმედება, მაგრამ ამის გაკეთება ნაციონალებს არ აწყობთ, დანარჩენ ოპოზიციას კი, ირმა ინაშვილისა და ნინო ბურჯანაძის ჩათვლით — არ შეუძლიათ. ეს ცოტა ხნის წინ რუსთაველზე ჩატარებულმა მოკრძალებულმა აქციამაც დაგვანახა. რჩება „ოცნების“ უმრავლესობა, რომელიც საკუთარი პარლამენტის წინააღმდეგ საკუთარ ფულს ვერ გამოიყენებს, ამიტომ საჭიროა ისეთი ვარიანტის მოძიება, რომელიც ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ხელს არაპირდაპირ შეუწყობს. „ვერსიას“ „ოცნების“ დეპუტატმა სწორედ ამ „ოქროს შუალედზე“ მიანოდა ინფორმაცია:

> **რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის სიითი შემადგენლობის 76 დეპუტატი, ანუ ნახევარზე მეტი მანდატს დადებს და პარლამენტიდან გავა?! ასევე, ცესკო-ში განცხადებას დაწერს და პარლამენტში შესვლაზე უარს იტყვის სიაში მომდევნო ნომრად ჩაწერილი 76 დეპუტატიც. მაშინ პარლამენტი უუნარო ორგანო ხდება და ვადამდელი არჩევნებიც ინიშნება. თურმე, „ოცნებაში“ ამაზე რამდენიმე ჯგუფი სერიოზულად მსჯელობს. მეტიც, კულუარული ინფორმაციით, ეს ივანიშვილისთვის ირაკლი ღარიბაშვილის ჩამოშორების ყველაზე მისაღები გზაა, რადგან საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა მთავრობა უპირატეს მდგომარეობაში იქნება, ღარიბაშვილი არაერთ შეცდომას დაუშვებს და არჩევნების შემდეგ მასაც და მის მთავრობასაც უნდობლობას უფრო ადვილად გამოუცხადებენ. მართალია, კულუარებში ხუმრობენ, ამისთვის ივანიშვილს მინიმუმ 76 მილიონი დასჭირდება 76 დეპუტატისთვისო, მაგრამ, რატომაც არა?! თუკი ყოფილმა პრემიერმა 2012 წლის არჩევნებში მილიარდზე მეტი დახარჯა, 76 მილიონად წელს უფრო „იაფად“ გამოვა.**

მეტიც, თუკი მანდატს 76 დეპუტატი დადებს, ამით პრეზიდენტ მარგველაშვილს შეიყვანს კონსტიტუციურ ჩიხში, რადგან ეს პირდაპირ რიგგარეშე არჩევნების გამოცხადების საფუძველი არ არის. სამაგიეროდ, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება.

> **კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში გარკვევით წერია: „პრეზიდენტი ომიანობისა თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფის და ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას“.**

პარლამენტის 74 დეპუტატისამარა დარჩენა კი კანონის სწორედ ის ნაწილია, სადაც ხელისუფლების რომელიმე ორგანოს უუნარობაზეა საუბარი. თუმცა, თეორიულად, ეს შესანიშნავი ვარიანტია, თუკი ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილის გაშვება პირდაპირ არ სურს და არც პარლამენტს დაათხოვინებს მარგველაშვილს მქუხარე პრეტენზიებით. ისიც ძნელი წარმოსადგენია, როგორ გამოდის 76 თავდახრილი დეპუტატი და მანდატს გვიდებს, მაგრამ არც 76 მილიონია ხუმრობა საქმე, მით, უმეტეს, პარლამენტი სწორედ მილიონისმაძიებლებითაა დაკომპლექტებული. ამასობაში, კონსტიტუციით, 2 თვის განმავლობაში, ქვეყანას მთავრობა და პრემიერი მართავენ, ყველაფერს ისინი წყვეტენ, ფინანსებს მთლიანად მთავრობა განკარგავს, არჩევნებს, თავისი ადმინისტრაციული რესურსით, მთავრობა ატარებს და თუ კაცის გამოჭერა გინდა, ამის გაკეთება ყველაზე ადვილი მისთვის სწორედ ასეთი „კარტბლანშის“ მიცემისასაა. და ბოლოს, ამ ვერსიაში ყველაზე მომხიბვლელი ისაა, რომ მისი მართებულობა საკმაოდ მალე დადასტურდება — იმ შემთხვევაში, თუ ლუკა კურტანიძე, რომელსაც გარდაცვლილი თამაზ ავდალიანის ნაცვლად, „ოცნების“ სიით პარლამენტში შესვლა უწევს, მანდატზე უარს იტყვის, ე.ი. ივანიშვილს ასეთი გეგმა მართლაც ჰქონია. ახლახან კი კურტანიძემ განაცხადა, ირაკლი კობახიძესა და კახი კალაძეს კი ვესაუბრე პარლამენტში ჩემს შესვლა-არშესვლაზე, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ბიძინა ივანიშვილმა უნდა თქვას და მასთან შეხვედრას ველოდებიო...

ვერსიანიუსი

პროკურატურამ საჩივრების შესწავლა დაასრულა

მთავარი პროკურატურა ამ საქმეების სამართლებრივი შესწავლის ეტაპზე გადადის იმის დასადგენად, აიძულეს თუ არა კონკრეტული პირები ქონება სიმბოლურ ფასად გაეყიდათ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, საკითხთან დაკავშირებით მისი კომიტეტი პროკურატურასთან აქტიურად თანამშრომლობს: **„პროკურატურა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა უკანონოდ ჩამორთმეული ქონების თაობაზე შესული განცხადებების სისტემატიზაციაზე, ეს პროცესი დასრულდა, ახლა დაიწყება შემდეგი ეტაპი. ჩვენი კომიტეტი აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში, რათა კომიტეტში შესული ასეთი ფაქტების თაობაზე მივაწოდოთ ინფორმაცია პროკურატურას რეაგირებისთვის“.**

აღნიშნულ საქმეებს მთავარ პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ახლადშექმნილი დეპარტამენტი განახორციელებს. დეპარტამენტში, ამ დროისთვის, სხვადასხვა მონაცემებით 20 000 განაცხადია შესული. 30 იანვარს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს მთავარ პროკურატურაში ახალი სპეციალიზებული სტრუქტურული დანაყოფის — „სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის“ შექმნა.

საქართველოს პროკურატურაში განმარტავენ: **„შემოსულია ათასობით განცხადება სამართალწარმოების განხორციელების პროცესში მოქალაქეების მიმართ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობის სავარაუდო ფაქტების არსებობის შესახებ. ამ ფაქტებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს. სწორედ ამ ვალდებულების შესასრულებლად იქმნება ხსენებული დეპარტამენტი“.**

მთავრობაში ვარაუდობენ, რომ სამართლიანობის აღდგენის კონკრეტული გეგმა, უახლოეს მომავალში შემუშავდება და ეტაპობრივად განხორციელდება.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთ მთავარ წინასაარჩევნო დაპირებას სწორედ სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენდა.

„პირველი“

გამოექსპერტებული

ლევან სეფისკვერაძე

– კაცო, გიორგი არ ხარ შენ? როგორ შეცვლილხარ, ძლივს გიცანი. ამასწინ ტელევიზორში გნახე. ეკრანზე სულ სხვანაირი ხარ. არ მომეწონა ისე შენი მაშინდელი ლაპარაკი. ის რამ გათქმევინა, ლარის გაუფასურება პრობლემა არ არისო?

– რომელი ხარ, კაცო, შენ?

– შენი კლასელი ვერ უნდა იცნო, ბიჭო? რა იყო, რამე თანამდებობა დაირტყი თუ როგორაა საქმე?

– უი, გიცანი მგონი. რაო, რას მეუბნებოდი? არ მოგეწონა ჩემი ლაპარაკი ლარზე თუ როგორ თქვი?

– ჰო, მაგას ვამბობდი. რომ გამოხვედი და თქვი, ლარის გაუფასურება ხალხისათვის არაფერს შეცვლისო, აბა, ერთი მე მკითხე ახლა, ბინა რომ მაქვს კრედიტით აღებული და ზედმეტი 400 ლარი უნდა ვიხადო ყოველთვე. არაფერს ცვლის ეგ?

– კაცო, შენ შარზე ხომ არ ხარ? მე ხომ ისიც ვთქვი, მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილზე აისახება-მეთქი ეს ვარდნა. ჰოდა, არ გაგიმართლა, ჩემო კარგო და შენ მოყევი იმ მცირე ნაწილში.

– კაცო, მეხუმრები თუ როგორაა შენი საქმე? რას ჰქვია მცირე ნაწილში მოვყევი? ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას კრედიტები რომ აქვს ბანკებიდან დოლარზე გამოტანილი, დავიჯერო, არ იცი და არ გსმენია ეს?

– რას გამოგქონდათ მერე? სანამ კრედიტს გამოიტან, უნდა დაფიქრდე კაცი. ეგრე სადაა, ძმაო, კრედიტი გინდოდეს და რისკები ფეხებზე გეკიდოს... აი, ასეთი „ფეხებზემკიდია“ ხალხი რომ ხართ, იმიტომ დაგემართათ ეგრე. აბა, მე რატომ არ შემექმნა პრობლემები? იმიტომ, რომ ლარში გამოვიტანე სესხიც და კრედიტიც და კი ვარ ახლა მშვიდად.

– შენ რა „იმ ბრძენი კაცივით“ არახუნებ? ხალხმა რა იცის ეგეთი რამეები? ადამიანს დასჭირდა თანხა, მივიდა ბანკში, მოითხოვა, მისცეს და დაუწესეს პროცენტი. ჰოდა იხდის, რა, პატიოსნად. მერე იწევს დოლარის კურსი, კაცი ხედავს, რომ მეტის გადახდა უწევს და სწუხს. შენ და შენი კუმირი „ის ბრძენი კაცი“ კი დღისით, მზისით, დამდგარხართ და უტიფრად იძახით, თქვენ (ხალხი) არაფრის აზრზე არა ხართ, ბანკებთან ურთიერთობა არ იცითო.

– რა, სიმართლე არ თქვა? თქვენ საკუთარი თავი გგონიათ ყველაფრის მცოდნეები და ჭკვიანი ხალხის მოსმენა არ გინდათ. გეუბნებათ კაცი, დოლარში შეინახეთ თანხებიო, დაუჯერეთ, რა! მეტი რა ქნას, ყველას სახლებში ხომ არ მოგადგებათ თხოვნით: ე ბიჭო, ნუ გაკოტრდებით და მე დამიჯერეთო.

– ბიჭო, შენ სულ გამოექსპერტებულხარ, რაც არ მინახიხარ იმის მერე და სინდისიც მთლად დაგიკარგავს. თქვენი გურუს ყველაფერში ეგრე გამართლება და „გაპრავება“ გაგონილა, კაცო?

– რამე ხომ არ გეშლება, შენ ბიჭო? შენი უბნელი „ბირჟავიკი“ ხომ არ გგონივარ, ახლა ამეებზე რო აგყვე?

– არადა, სულ სხვანაირი იყავი ბავშვობაში. ვინ იფიქრებდა, რომ გამოექსპერტდებოდი...

– შენ ცოტა სიტყვები შეარჩიე, გაიგე?

– სუფთა ის ყოფილხარ, ჩვენ რომ ვიცით...

– ბიჭო, აზრზე მოდი-მეთქი! წავედი მოკლედ. საერთოდ რას გელაპარაკებოდი, მეც მაგარი ვარ რა...

– წადი წადი, ახალი სისულელეები გაქვს ტელევიზორში დასაბრეხვებელი...

— ბოღმიანებო, თქვენა!

„ოცნებას“ ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიებას ხალხი აიძულებს“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

კონსტანტინე გამსახურდია აქტიურ პოლიტიკაში დიდი ხანია აღარ ჩანს. არადა, ინტერპატრიულ ჯგუფთან ერთად, თურმე თვეებია, საარჩევნო გარემოს შეცვლაზე აქტიურად მუშაობს. როგორც ამბობს, ახლა მისი პარტია „თავისუფლება“ „აბდეიტის“ რეჟიმშია, მისი ყოფილი წევრები კი ხელისუფლებისა და მასმედიის სხვადასხვა შტოში გადანაწილდნენ. კონსტანტინე გამსახურდია „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და მომავალ პოლიტიკურ გეგმებსა და ზვიად გამსახურდიას საქმის გაჯანჯლებულ გამოძიებაზე ესაუბრება.

კონსტანტინე გამსახურდია „სამართლიანობის აღდგენის საბჭოს“ შექმნას ითხოვს და აქციებს აანონსებს

— პარტია „თავისუფლება“ არსებობს და ახლა გარკვეულ განახლებას, „აბდეიტს“ განიცდის. თუმცა მხოლოდ ამ პარტიასთან არ ვარ გაიგივებული. მისგან დამოუკიდებლადაც ვმოღვაწეობ — ჩემს აზრს სოციალურ ქსელებში ყოველთვის ვაფიქსირებდი. ახლა ჩემი კიდევ ერთი წიგნი გამოდის, „სოციალური ქსელის აუდიტორიასთან“ და იგი სამი რუბრიკისგან შედგება: პოლიტიკა, ეკონომიკა, სახელმწიფო. მეორეა: კულტურა საზოგადოება ისტორია. მესამე — რელიგიური დღესასწაულები. ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვან მოვლენას სოციალურ ქსელში სტატუსებით ვეხმაურები. ამ ყველაფერს თავი მოვუყარე და წიგნად გამოვცემ.

— ამას პოლიტიკაში ყოფნას ეძახით?

— ეს, ალბათ, უფრო არისტოტელეს გაგებითაა პოლიტიკაში ყოფნა, უფრო სწორად, პოლიტიკასთან ყოფნა. სხვა მოთამაშეები, ცხადია, ამ სფეროში უფრო აქტიურად არიან, მაგრამ მათ პარტიის, ოფისის შენახვისა და მასმედიაში გამოჩენის პრობლემა არ აქვთ. მე კი ტელეეკრანებს არ მითმობენ — როგორც ჩანს, ეს ჩაკეტილი წრეა, სადაც ვერ მოვხვდი. ალბათ, ძლიერნი ამა ქვეყნისა სხვანაირად ფიქრობენ და ჩვენ აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

— სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილთან ერთად რომ გნახეს ჩარგალში, ბევრმა იფიქრა, „ოცნებაში“ ან საჯარო სამსახურში გამოჩნდებაო. შეთავაზება არ გქონიათ?

— კულტურულ ღონისძიებაზე ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით. მიხა ხელაშვილის, პოეტისა და დიაკვნის საფლავზე ავედით, ვაჟას პოეზია წაიკითხეს, „ქართული ხმებიც“ მღეროდა... ივანიშვილი, მისი მეუღლე, შვილი და მე ერთ მაგიდასთან დაგვსხეს, ფოტოებიც გადაიღეს და ეს გახდა ამ მითქმა-მოთქმის საფუძველი, „ოცნებაში“ მიდისო. არანაირ „ოცნებებში“ არ მივდივარ, საერთოდ, მიმაჩნია, რომ პოლიტიკა და ოცნება ერთმანეთისგან შორს დგას. ამ პარტიაში გაწევრიანების არც სურვილი მქონია, არც — შემოთავაზება. თუმცა საჯარო სამსახურში ყოფნის სურვილი ადრეც მქონდა, ახლაც მაქვს და მომავალშიც მექნება.

— შემოთავაზება ადრეც გქონდათ, მუშაობდით კიდეც.

— დიახ და ამას სულითა და გულით ვაკეთებდი. მავანთა მსგავსად მიზნად გამდიდრება არ მქონია, არც ვინმეს ხარჯზე ვიყავი იქ და არც ვინმესთან შევსულვარ „ფაუსტურ გარიგებაში“. ამის კვალიფიკაცია გამაჩნდა და უანგაროდაც მივედი.

— თუმცა სწორედ ანგარებასა და არაკვალიფიციურობაზე გედავებოდათ დანარჩენი ოპოზიცია 2009 წელს.

— რა თქმა უნდა, ეს დავა უსასრულოა და მათ დღესაც შეუძლიათ იდავონ, რომ დედამიწა მრგვალი არ არის, ვარსკვლავები ცაზე კი, უბრალოდ, ჩრჩილის მიერ ამოჭმული ორმოებია.

— ახლა ამ ოპოზიციასთან ერთად ინტერპარტიულ ჯგუფში რისი იმედით და რა მიზნით ხართ?

— ეს ჯგუფი საარჩევნო გარემოს შესაცვლელად შეიქმნა. როგორ შეიძლება, პარტიამ ხმათა 45% მიიღოს და პარლამენტში 75 კაცი შეიყვანოს? არჩევნების მაჟორიტარული სისტემა კი საერთოდ გასაუქმებელია. კოალიცია „ოცნებაში“ ამ იდეის მომხრეები ეროვნული ფორუმი და რესპუბლიკელები არიან, მოწინააღმდეგეები კი — პარტია „ქართული ოცნება“, კონსერვატორები და „მრეწველები“. როგორც ჩანს, ეს სამი პარტია და ირაკლი ღარიბაშვილი ერთმანეთის ინტერესებს გამოხატავენ. ცოტა ხნის წინ რამდენიმე არასამთავრობომ საკუთარი პროექტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით, არჩევნები რეგიონულ-პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს. ამ იდეას „ოცნება“ მხარს არ დაუჭერს და, სავარაუდოდ, იგივე წესს დატოვებს. ჩემი აზრით, არასამთავრობებმა ასეთი იდეა სწორედ ამ მიზნით „შემოაგდეს“. შეხვედრისას, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პირდაპირ გვითხრა, ორპალატიან პარლამენტზე რატომ არ ფიქრობთ, როგორც ეს კონსტიტუციაში გვიწერიაო? ვუპასუხე, რომ ამ იდეას მხარს ვუჭერთ, უბრალოდ, ამ ეტაპზე, არარეალურად მიგვაჩნია, რადგან თქვენივე გუნდი პარლამენტში არ დაგთანხმდებათ-მეთქი. ევროპასა და ამერიკაში, სამი გამონაკლისის გარდა, ორპალატიანი საპარლამენტო სისტემაა. უბრალოდ, კონსტიტუციაში დათქმა დევს, რომ ორპალატიან სისტემაზე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ უნდა გადავიდეთ. ჩემთვის ამ ჯგუფში, საინტერესო იდეებზე და საინტერესო ადამიანებთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა.

— ისე, თქვენზე ერთი საინტერესო ჭორი მეც გავიგე — ქრისტიან-დემოკრატებთან შეერთება სურსო...

— რა სისულელეა. მსგავსი არაფერი ხდება. ასეთი რამ არათუ დღის წესრიგში დგას, თავში აზრადაც არ მომსვლია.

— თქვენამდე სამართლიანობის აღდგენის პროცესი თუ მოვიდა ან იმ შეფასებას თუ იზიარებთ, რომ ქვეყანაში ეს პროცესი გლობალურად დაიწყო?

— ეს კომპლექსური პროცესია. მანამდე არაფერი გამოვა, ვიდრე სამართლიანობის აღდგენის ეროვნული საბჭო არ შეიქმნება, სადაც ცნობილი სახეებიც შევლენ და კვალიფიციური იურისტებიც. ასეთი საბჭოები დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებში ფუნქციონირებს — ვთქვათ, ჩილეში, სადაც ქვეყანას პინოჩეტი მართავდა. ქვეყნებში, სადაც დიქტატურა იყო და ადამიანები შეიწირეს. ამ საბჭომ კონკრეტული საკითხები უნდა შეისწავლოს, ვთქვათ, ადამიანებისთვის ქონების ჩამორთმევის საქმეები და ა.შ. პროკურატურის არსებული სისტემა ამას ვერ შეძლებს და იგი უნდა შეიცვალოს. ბიბლიაშია ნათქვამი, ძველ ჭურებში ახალ ღვინოს არ ასხამენო. ასეა პროკურატურის საქმეც — იგი ახალ გამოწვევებს ვერ პასუხობს. ვერც ერთ აღმოჩენას ვუწოდებთ გლობალურ პროცესს და ჯერ ისიც საკითხავია, მართლა დაკავებულია თუ არა იური ვაზაგაშვილის მკვლელი. საერთოდ, ერთ საკითხს დავაკვირდი: ვაზაგაშვილი ცივსისხლიანმა, მაღალი დონის პროფესიონალმა ააფეთქა. ხოლო სქემა, რომლის მიხედვითაც ეს დანაშაული მოხდა, აღებულია რუსული სერიალიდან „თხუნელა“, სადაც რუსეთში მოღვაწე ქართველ მაფიოზ მარგელაძეს საკუთარი ძმის საფლავზე აფეთქებენ.

— ანუ მკვლელი სერიალს უყურებს, თუ ამით რუსეთთან კავშირზე მიმანიშნებთ, რაც პროკურატურას არ უხსენებია?

— ვნახოთ, რა გამოირკვევა. მკვლელის კავშირს რუსულ სპეცსამსახურებთან არ გამოვრიცხავ და ჩანს, ამ დანაშაულის დამგეგმავებს გარკვეული შაბლონები აქვთ. ამ გვარის, სოსანაშვილის გამოჩენა, ჩემი აზრით, ისეთივე საეჭვოა, როგორც გურამ შარაძის მკვლელად ვინმე ბარათელის გამოცხადება.

— თუკი ნაციონალების დროს ამ ყველაფრის გარკვევა შეუძლებელი იყო, ახლა ხომ შეიცვალა ხელისუფლება — პარლამენტის მიერ 2009 წლის 22 თებერვალს მიღებული დადგენილებით, რომელიც პროკურატურას რეკომენდაციებს აძლევდა, ფაქტობრივად, მზა გამოძიება არსებობს ზვიად გამსახურდიას საქმეზე. რა არის ახალი?

— დადგენილების მერე, 1,5 წელი არაფერი შეცვლილა. ზურაბ ადეიშვილის პროკურატურა და სამინისტრო საქმის დაძვრაზე არც ფიქრობდნენ. მას მერე, რაც ეს საკითხი საჯაროდ არაერთხელ დავაყენე, შემდეგ კი სამივე ძმამ ერთობლივი განცხადება გავაკეთეთ მთაწმინდის პანთეონიდან, ხელისუფლებამ გამოძიება განაახლა. დაიბარეს და დაკითხეს ადამიანები, ვინც დროებითმა საპარლამენტო კომისიამ დაკითხა. როგორც ჩანს, ამ თემაზე გამოცემული ჩემი წიგნი გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს.

— გაკვალულ გზაზე სიარული ძალიან ადვილია. ახალი რა დაადგინა პროკურატურამ, მით უმეტეს, როცა საქმის ერთ-ერთი მთავარი პირი, შევარდნაძე უკვე მკვდარია?

— შევარდნაძის გარდა ცოცხალი აღარაა ლუდმილა ღურწკაია, იმ სახლის დიასახლისი, რომელშიც ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. ასევე, ბადრი ზარანდია, გია შონია, იგივე „პუშკინა“. ობიექტური გამოძიების რესურსი ჯერ კიდევ არის, მაგრამ პოლიტიკურ ნებას ვერ ვხედავ — ალბათ იმიტომ, რომ გამსახურდია ნაციონალებს არ მოუკლავთ. თან იმ ხალხს, ვინც დღესაა ხელისუფლებაში, ამ საქმის ბოლომდე მიყვანის ენთუზიაზმი არ აქვს, რადგან სწორედ მათი თანაგუნდელები სდევნიდნენ ზვიად გამსახურდიას. თუმცა მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ასეთ საქმეებს ხანდაზმულობა არ გააჩნია. ჩვენ ამ თემას წინასაარჩევნოდაც წამოვწევთ! სამართლიანობის აღდგენა სწორედ 1990-იანი წლების გამოძიებით უნდა დაიწყოს. „ოცნებისგან“ აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში ჩასვლას არავინ ითხოვს, ეს ქალბატონმა წულუკიანმა განაცხადა. ამიტომ ვფიქრობ, იძულებულნი გახდებიან, ამ საქმეს ხელი მოკიდონ.

— და ამას ვინ აიძულებს?

— ისევ ხალხი და საზოგადოება. არ უნდა ვიცადოთ, როდემდე იპარპაშებენ ქვეყანაში დაუსჯელი დამნაშავეები.

— მერე, რას ელოდებით, ვადამდელ არჩევნებს?

— რატომაც არა, მით უმეტეს, მაქვს ინფორმაცია, რომ ვადამდელი არჩევნები ამ წელს, შემოდგომით ჩატარდება. ახალი არჩევნები ახალ პოლიტიკურ რეალობას მოიტანს, ძველი სახეებით — საქართველოში არჩევნებს ხშირად ერთი და იგივე ადამიანების ბრძოლა ჰქვია ხელისუფლებისთვის.

— თქვენც ჩაებმებით ამ ბრძოლაში?

— ალბათ, კი. თუ პარტნიორებს მოვნახავ, ალბათ, არჩევნებში მონაწილეობასაც მივიღებ. თუმცა ჯერ ვინმესთან პარტნიორობა გადაწყვეტილი არ მაქვს.

— ისე, ყველაფრის მიუხედავად, ხელისუფლების მიმართ მაინც ლოიალურად განწყობილი მეჩვენებით თუ ვცდები?

— საიდან მოიტანეთ?! ძალიან უკმაყოფილო ვარ და მათ მუშაობას პოზიტიურად სულაც არ ვაფასებ. გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლოთ. მათ კი სახელმწიფო უკან დასწიეს.

სანქციის უკიდურესი ფორმა — დასავლეთი რუსეთს სვიფტიდან გათიშავს

რა შედეგი მოჰყვება პროცესს და მოუწყობენ თუ არა ბუნტს რუსი ბიზნესმენები პუტინს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საერთაშორისო საზოგადოება უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, რუსეთისთვის მორიგი სანქციის ამოქმედებაზე მსჯელობს. ეკონომიკური სანქციები, რომელიც დასავლეთმა რუსეთს უკვე დაუწესა, ამ ქვეყნის ეკონომიკაზე საკმაოდ მძიმედ აისახა. საერთაშორისო ექსპერტებისა და სპეციალისტების შეფასებით, რუსეთის ეკონომიკა ჩამოშლის ზღვარზეა, რუსული რუბლის დევალვაცია კი 90-იანი წლების მასშტაბებს უახლოვდება. ამ ფონზე, გამორიცხული არ არის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციის უკიდურესი ფორმა გამოიყენოს და ქვეყანა საბანკო ანგარიშსწორების ელექტრონული სისტემიდან, სვიფტიდან გათიშოს.

სვიფტი (SWIFT _ Society for Worldwide Interbank Financial Telecommunications) ესაა „ორგანიზაცია მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციებისთვის“. იგი, 1973 წელს, ბელგიის კანონმდებლობის საფუძველზე, 15 ქვეყნის 239-მა ბანკმა დააფუძნა. მისი ფუნქციაა, ინფორმაციის გადაცემა და საერთაშორისო გადარიცხვების განხორციელება. სათავო ოფისი ბრიუსელში მდებარეობს. სვიფტის სისტემაში, მსოფლიოს 2015 ქვეყნის 10 500 საფინანსო ორგანიზაციაა გაერთიანებული. ამ სისტემაში ჩართული ბანკი თავის უნიკალურ კოდს — „სვიფტკოდს“ ფლობს. ერთი დღის განმავლობაში, სვიფტის საშუალებით, 6 ტრილიონ დოლარზე მეტი ოდენობის ფინანსური ტრანზაქციაა შესაძლებელი. სვიფტი ყველაზე საიმედო და სწრაფი სისტემაა, ფაქტობრივად, მონოპოლისტია და ალტერნატივა არ გააჩნია.

სვიფტიდან ამა თუ იმ ქვეყნის გათიშვა მხოლოდ ევროკავშირს შეუძლია. ევროპამ სანქციის ამ უკიდურეს ზომას ერთადერთხელ მიმართა, როდესაც ირანს სვიფტის სისტემა დაუბლოკა. ამის შემდეგ, ირანის საფინანსო ორგანიზაციებსა და კომპანიებს, სხვადასხვა ქვეყნებში ლამის ტომრებით გადაჰქონდათ ნაღდი ფული. ამ ეტაპზე, ირანი სხვადასხვა გზებით, ხან შენიღბულად, ხან კი აზიის ბანკების საშუალებით ახერხებს ანგარიშსწორებას.

თავდაპირველად, რუსეთის სვიფტიდან შესაძლო გათიშვა, 2014 წლის აგვისტოს ბოლოს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მოითხოვა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ერთი კვირის მანძილზე მსჯელობდნენ ამ საკითხზე, მაგრამ საბოლოოდ, სვიფტიდან რუსეთის გათიშვა გადაიფიქრეს. მართალია, 2014 წლის აგვისტოს ბოლოს დასავლეთმა რუსეთს სანქციის უკიდურესი ფორმა არ დაუწესა, მაგრამ რუსეთის ეროვნულ ბანკს სვიფტის ალტერნატიული, ელექტრონული სისტემის შექმნა მაინც დაავალეს. ამ ეტაპზე, დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები, ისევ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის იდეაზე მსჯელობენ და ამ საკითხს განიხილავენ.

რა მოხდება, თუ ევროკავშირი რუსეთს სვიფტიდან გათიშავს? როგორ და რა ფორმით აისახება ეს პროცესი ევროპის ქვეყნებისა და განსაკუთრებით, საქართველოს ეკონომიკაზე? რამდენად რეალურია სვიფტის ალტერნატიული სისტემის შექმნა და ამის შემდეგ, მისი ამოქმედება? „ვერსიას“ „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, **რომან გოცირიძე** ესაუბრება:

— სვიფტიდან გათიშვა უკიდურესი ზომაა ისეთი უზარმაზარი ქვეყნისთვის, როგორიცაა რუსეთი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გაზითა და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობს. სვიფტიდან გათიშვა საბანკო გადარიცხვების შეწყვეტას ნიშნავს. მაგალითად, რუსეთმა ევროპაში გაიტანა გაზი და გაყიდა, ფული როგორ უნდა მიიღოს, ტომრებით? სვიფტიდან გათიშვა ორმხრივი ზარალია. ამით, რუსეთთან ერთად, ევროპაც დაზარალდება. შესაძლოა, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღოს ევროპამ, თუ რუსეთთან მოლაპარაკების ყველა საშუალებას ამოწურავს. ფაქტობრივად, სვიფტიდან ქვეყნის გათიშვა ომის წინა მდგომარეობაა. ეს სანქციის უკიდურესი ფორმაა. ამაზე მეტი ბუნებაში არ არსებობს! ვეჭვობ, ევროპამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. აზრი არ აქვს დათვლას, რა ტიპის ზიანი მიადგება ამა თუ იმ ქვეყანას, რადგან სვიფტიდან გათიშვა, სხვა ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლას ნიშნავს. ეს ტექნიკური შეფერხებაა, რომელიც ტრანზაქციებს გააძვირებს და რუსეთისადმი დამოკიდებულებას შეცვლის. შესაძლოა, ეს პროცესი ბევრი ქვეყნისთვის სერიოზულ, საფინანსო კრიზისში გადაიზარდოს, რუსეთის ეკონომიკას კი მთლიანად დაანგრევს.

ამ ეტაპზე, სვიფტიდან გათიშვა არარეალური მგონია. მაგრამ რუსეთი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინაში. თუ რუსეთმა მარიოპოლი წაიღო და დონბასის გარდა, უკრაინის სხვა ოლქებშიც გადავიდა საომარი მოქმედებები, ვთქვათ, დნეპროპეტროვსკის ან ზაპოროჟიეს ოლქებში, საიდანაც პირდაპირი სახმელეთო გზა მიდის ყირიმისკენ, ეს უკვე რეალურად გასცდება დონბასისა და ყირიმის ანექსიას და უკრაინის სხვა ტერიტორიებსაც მოიცავს. აი, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ევროპამ ასეთი მძიმე სანქცია გამოიყენოს. მოკლედ, ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთის შემდგომ ქმედებებზე, მაგრამ ის სტატუს-კვო, რაც დღეს არსებობს, ანუ დღევანდელი საომარი ხაზი, სამწუხაროდ, სვიფტით დასასჯელი რეალობა მაინც არ არის. რადგან დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ეს საკითხი ერთხელ უკვე დასვა, თეორიულად, გამორიცხული არაა, ამ მძიმე სანქციაზე ახლაც დაფიქრდნენ.

— ბატონო რომან, აგვისტოს ბოლოს, ევროპამ ამ სანქციაზე უარი თქვა. ახლა რუსეთის ეკონომიკა ისედაც ნგრევის პირასაა და სვიფტიდან გათიშვა უფრო მძიმე დარტყმა იქნება. ასეთ პირობებში, რა გზას მიმართავენ რუსი ბიზნესმენები და ბანკირები, შეძლებენ, პუტინს დაუპირისპირდნენ?

— ძნელი წარმოსადგენია, რა დონემდე დაინგრევა რუსეთის ეკონომიკა. სვიფტიდან ერთხელ უკვე გათიშეს ირანი, მაგრამ რუსეთისა და ირანის ეკონომიკა განსხვავებულია. ირანულ კომპანიებს ძალიან უჭირთ. ეს პროცესი მძიმედ გადაიტანეს და ალტერნატიული სისტემები მოაწყვეს. ირანი აზიური ბანკების საშუალებით ახერხებს ანგარიშსწორებას, თუმცა მისი მასშტაბი მაინც სულ სხვაა. თანაც, ისიც გაითვალისწინეთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში, ირანი იზოლაციაშია, ამ პირობებში არსებობას შეეჩვია და მოთხოვნას საკუთარი წარმოებით იკმაყოფილებს. სულ სხვაა რუსეთი, რომელსაც ბუნებრივია, ანგარიშსწორებისთვის საკუთარი სისტემების შექმნა მოუწევს. ასევე რუსეთს მოუწევს სვიფტის პარალელური სისტემების აგება ბანკებთან. თუ ბანკები დაინტერესდებიან, შეუძლიათ ალტერნატიული მეთოდები გამოიყენონ, თუნდაც 30 წლისწინანდელი „ტელექსებიც“ კი. რუსეთს აზიურ ბანკებთანაც მოუწევს ურთიერთობების დამყარება, რომლებზეც ევროკავშირის, ამერიკისა და კანადის სანქციები არ ვრცელდება. თუმცა ამ ურთიერთობების აწყობას წლები სჭირდება. რეალურად, რუსეთის ეკონომიკა, რომელიც ახლა ჩამონგრევის ზღვარზეა, ამ პროცესს ვერ გაუძლებს. სვიფტი მძლავრი იარაღია, მაგრამ არა მგონია, კომფორმისტმა ევროპელებმა, რომლებიც ყველა დანაკარგზე წუწუნებენ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღონ. თანაც, ევროპაც არაა ერთგვაროვანი — პოლიტიკურად იმდენად ჭრელი ლანდშაფტია, სვიფტის სანქციისთვის მზად არ არიან. არადა, სვიფტიდან გათიშვა, რუსეთის პოლიტიკური იზოლაცია იქნება. რაც შეეხება რუსი ბიზნესმენების ბუნტს, ეს ნაკლებად რეალურია, რადგან ბიზნესმენებს, რომლებიც ძირითად ბერკეტებს ფლობენ, ფაქტობრივად, პუტინი მართავს. რუსი ბიზნესმენები დამოუკიდებლები არ არიან, მათ სახელმწიფო ქონების მითვისების შედეგად, ხელისუფლების წყალობით დააგროვეს ქონება. წარმოუდგენელია, თუნდაც ასეთ მძიმე პირობებში, რომელიმე ბიზნესმენი პუტინს დაუპირისპირდეს.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთში სვიფტის ალტერნატიულ სისტემაზე უკვე მუშაობენ. მოსკოვი მძიმე სანქციისთვის წინასწარ ემზადება?

— რუსეთში სვიფტის ალტერნატიული სისტემის შექმნა ეროვნულ ბანკს დაავალეს, რომელიც ერთი წელია, ამ სისტემაზე მუშაობს. რუსეთის ეროვნული ბანკის გათვლებითაც კი, გამართული სისტემის შექმნას, დაახლოებით, ორი წელი სჭირდება. რუსული ბანკები გამალებით ხსნიან ანგარიშებს ჩინეთის, ჰონკონგის, სინგაპურისა და აზიის სხვა ქვეყნების ბანკებში. ერთი მხრივ, ეს მათ მიერ, რისკების ადეკვატურად შეფასებას ნიშნავს, მაგრამ გამორიცხული არ არის, ინსაიდერულ ინფორმაციას ფლობენ და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, უკრაინაში საომარი მოქმედებების შეწყვეტას არც კი ელიან. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ფინანსურ წრეებში პანიკაა. შესაძლოა, სვიფტის სისტემის მსგავსი სუროგატი რუსეთმაც გააკეთოს. მაგალითად, რუსეთის ბანკებმა ერთმანეთში თანხების გადარიცხვა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ უცხოურ ვალუტაშიც შეძლონ, მაგრამ საერთაშორისო სისტემაში მაინც ვერ ჩაერთვებიან. მათ აუცილებლად მოუწევთ უამრავი სირთულის გადალახვა, შემოვლითი გზების ძიება და საერთაშორისო ტრანზაქციების წარმოება, რაც საკმაოდ ძვირი დაუჯდებათ. თუკი ევროპა რუსეთს სვიფტიდან გათიშავს, ჯიბით, თვითმფრინავით, ავტომობილით ფულის გადატანის სისტემა ამოქმედდება, რაც საბანკო სფეროს დააზარალებს.

— ამ შემთხვევაში, რა ეშველება საქართველოს ეკონომიკას, სადაც რუსული კომპანია უხვადაა?

— რუსული კომპანიები, რომლებიც საქართველოში მუშაობენ, საქართველოს იურიდიული პირები არიან. ანგარიშსწორებას ისინი საქართველოს საბანკო სისტემის საშუალებით განახორციელებენ. თუ ევროპა რუსეთს სვიფტიდან გათიშავს, მთავარი პრობლემა რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვების დროს შეიქმნება, რაც ახლა ისედაც შემცირებულია. ეს პროცესი საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის გაცვლით კურსსაც დააზარალებს. ბევრი ქართველი დაკარგავს სამუშაო ადგილს რუსეთში.

— სვიფტიდან რუსეთის გათიშვა შავი ფულის მოძრაობასაც შეუწყობს ხელს, რაც პირველ რიგში, საქართველოში მოხვდება?

— თუ სვიფტიდან გათიშავენ, რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება ყველა არხის გამოყენებას. შესაბამისად, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის საბანკო სისტემების გამოყენებასაც ეცდება. ისევ ირანის მაგალითი განვიხილოთ, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ახალ-ახალ კომპანიებს აფუძნებს, მათ შორის საქართველოშიც. საქართველოში დაფუძნებული ირანული კომპანიის გამო, ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან სერიოზული გაფრთხილებაც კი მიიღო. ამის შემდეგ, საქართველოში დაფუძნებულ ირანულ კომპანიას ანგარიშებიც დაუყადაღეს... რუსეთი ეცდება, არა მარტო საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც დააფუძნოს ახალი კომპანიები, რათა საბანკო ანგარიშსწორება განახორციელოს. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც თეორიული მოსაზრებაა, რომლის ალბათობა ამ ეტაპზე, მაქსიმუმ, 5%-ია. ხაზგასმით აღვნიშნავ, ამ ვითარებაში, სვიფტიდან რუსეთის გათიშვის ალბათობას კატეგორიულად გამოვრიცხავ!

ვერსიანიუსი

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი ისევ დაეცა

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს პროგნოზის ფონზე, რომ აშშ-ში ნავთობის მოპოვება გაიზრდება, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი დაეცა.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ICE-ს ბირჟაზე 10 თებერვალს, დილას, „ბრენტის“ მარკის ნავთობზე ფასი 57,59 დოლარამდე დაეცა, WTI-ის ნავთობზე ფასმა კი ბარელზე 52,09 დოლარი შეადგინა. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ 2020 წლისთვის აშშ-ში ნავთობის მოპოვების გაზრდა დღე-ღამეში 5,2 მილიონ ბარელამდე იწინასწარმეტყველა მაშინ, როცა შარშან ეს მაჩვენებელი 3,6 მილიონი ბარელი იყო.

bpn.ge

ბულგარეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმს ამარტივებს

საქართველოს გარდა, ბულგარეთი სავიზო რეჟიმს ამარტივებს რუსეთისთვის, უკრაინისთვის, ყაზახეთისთვის, ბელორუსისა და სომხეთისთვის.

ახალი ამბების პორტალი „ბოლგარსკაია პრავდა“ წერს, რომ აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება ბულგარეთის ტურიზმის მინისტრმა ნიკოლინა ანგელკოვამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა დანიელ მიტოვმა ტურიზმის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს.

აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს „ტურიზმის ორგანიზების“ მიზნით მოკლევადიანი ორმაგი ან მრავალჯერადი ვიზების გაცემას მოქმედების 1 წლამდე ვადით იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც ბულგარეთის ვიზით წარსულში ისარგებლეს.

უძრავი ქონების მფლობელები, რომლებიც ადრე ბულგარეთის ვიზას ვერ იღებდნენ, ორმაგ ან მრავალჯერად ერთწლიან ვიზას მიიღებენ, ხოლო ისინი, ვინც ბულგარეთის ვიზით უკვე სარგებლობდა, 3 წლამდე მოქმედების მქონე ვიზას მიიღებენ.

სააგენტოს ინფორმაციით, გადაწყვეტილება ტურისტული სეზონის დაწყებამდე მიიღეს, რათა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყოფილი ქვეყნებიდან ბულგარეთში მეტი ტურისტის მიზიდვა მოხდეს.

„პირველი“

„ოცნება“ რუსეთთან წაგებულ თამაშში არ ჩაერთვება

რა საფრთხეებს უნდა ველოდეთ მოსკოვიდან და რამდენად ეფექტურია ხელისუფლების პოლიტიკა კრემლთან მიმართებაში



შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“ უშედეგოდ ცდილობს რუსეთის ფედერაციასთან მაღალი რანგის მოლაპარაკებების გამართვას. შეხვედრის სურვილი კრემლიდანაც არაერთხელ გაისმა, მაგრამ საკმარისი იყო, ჟენევაში, კარასინ-აბაშიძის დონეზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე, სადაც მხარეები, ძირითადად, ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე გატანის საკითხებს განიხილავდნენ, ქართული მხარე პოლიტიკურ საკითხებს შეხებოდა, რომ რუსეთის უცნაური დუმილის რეჟიმი ამოქმედდა. ჟენევის მოლაპარაკებების გაურკვეველი ვადით გადადების მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ქართული მხარის პროტესტი რუსეთის მიერ აფხაზეთთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე.

როგორც ჩანს, თბილისის მოლოდინი არ გამართლდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის სურვილს, რუსეთთან ურთიერთობები დაგვერეგულირებინა და „კეთილი მეზობლები გავმხდარიყავით“, მოსკოვი ასევე კონსტრუქციული და მეგობრული პოლიტიკით არ პასუხობს. პირიქით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსი ჯარისკაცები პერიოდულად პროვოკაციებზე მიდიან, რამდენიმე ათეულობით კილომეტრიან მავთულხლართებს ავლებენ, ბოლო დღეებში კი, გორის რაიონ სოფელ ჯარიაშენში, მოსახლეობას მიწის დამუშავების უფლება არ მისცეს.

რუსეთ-საქართველოს შორის ბოლოდროინდელი ურთიერთობები „ვერსიამ“ პოლიტოლოგ **ნიკა ჩიტაძესთან** საუბრისას განიხილა. მისი შეფასებით, რუსი სამხედროების უკანონო ქმედებებს პერმანენტული ხასიათი აქვს და ამ მეთოდებით ქართულ საზოგადოებაში პანიკის დათესვასა და დესტაბილიზაციის გამოწვევას ცდილობენ. მისივე ინფორმაციით, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ახლოს მუდმივად იტაცებენ ადამიანებს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი განსაკუთრებით აქტიურდება მაშინ, როდესაც საქართველოში რომელიმე დასავლელი მაღალჩინოსანი ჩამოდის.

„ბოლო დღეებში სამხედროების გააქტიურება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ვერშბოუს ვიზიტს საქართველოში. ასევე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის გამართვას ნატო-ს შტაბ-ბინაში. საერთოდ რუსეთი აქტიურდება მაშინ, როდესაც ახალი პრიორიტეტები იგეგმება ჩვენს დასავლეთ პარტნიორებთან, ნატო-სა და ევროკავშირთან“, — ამბობს **ნიკა ჩიტაძე** და ხელისუფლებას არაეფექტური მუშაობის გამო აკრიტიკებს.

მისი აზრით, კარგი იქნებოდა, ოკუპირებული ტერიტორიების ახლოს, დასახლებულ პუნქტებში პოლიციის გარკვეული ქვედანაყოფები იყოს განლაგებული, რათა, ერთის მხრივ საქართველოს მოქალაქეებმა თავი დაცულად იგრძნონ, მეორეს მხრივ კი საერთაშორისო საზოგადოებას მუდმივად მიეწოდებოდეს ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეების უკანონო გატაცების შესახებ: **„გარკვეულწილად, ასეთი ინფორმაცია აქვს ევროკავშირს, თავისი წარმომადგენლობის საშუალებით. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ინფორმაცია უშუალოდ ხელისუფლების მხრიდან უნდა მიეწოდებოდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად დაიძაბება ვითარება და უფრო მეტ ადამიანს გაიტაცებენ“.**

საჯარო პროტესტიდან — სამართლებრივ ბერკეტებამდე

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც რუსეთთან კონფრონტაციული პოლიტიკით „აქტიურად იწონებდა“ თავს დასავლეთში, „ოცნების“ მთავრობამ რადიკალურად შეცვალა მოსკოვის მიმართ განცხადებების ტონი, მაგრამ არც ამ შემთხვევაში დამდგარა უკეთესი შედეგი. მოსკოვმა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი. ამ დღეებში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რუსეთს სწორედ ამ დოკუმენტის გამო უსაყვედურა და საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმებისა და საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა. იგი ასევე შეშფოთებულია საქართველოს მეორე კონფლიქტურ რეგიონთან, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მსგავსი გეგმების გამოც.

ექსპერტ ნიკა ჩიტაძის აზრით, მხოლოდ საჯარო განცხადებები საკმარისი არ არის და მისასალმებელია, რომ დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ, როგორც იქნა, აამოქმედა სანქციები. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სანქციების მიზეზი უკრაინაა, მაშინ როდესაც, ქართველი პოლიტოლოგების აზრით, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, დასავლეთისგან გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებდა. „2008 წელს რუსეთმა საქართველოს მიმართ აგრესია ღიად გამოხატა, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ეფექტურად გამოიყენა მაშინდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო ტრიბუნები“. ქართველი ექსპერტების აზრით, უკრაინის შემდეგ, ევროპაში უკვე ნაკლებ ეჭვს იწვევს, რომ 2008 წელს რუსეთმა განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ აგრესია.

ამასთან დაკავშირებით ევროპელი პარტნიორების მიმართ უკმაყოფილება ვერ დამალა საქართველოს მთავრობის მეთაურმა **ირაკლი ღარიბაშვილმაც** და ამ დღეებში, მიუნხენის უსაფრთხოების 51-ე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: **„უკრაინამდე იყო საქართველო, მაშინ მეტი ყურადღება რომ ყოფილიყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, უკრაინის კრიზისი არ იქნებოდა“.**

სამწუხაროდ იმ პერიოდში სანქციების ამოქმედების ნაცვლად, რუსეთსა და ამერიკას შორის ამოქმედდა გადატვირთვის პოლიტიკა. რუსეთს კიდევ ერთი შანსი მიეცა. მაშინ მხოლოდ რუსეთ-ნატო-ს საბჭომ შეწყვიტა მუშაობა და ისიც მხოლოდ ერთი წლით, მაგრამ არ ამოქმედებულა ეკონომიკური სანქციები. **„დასავლელი დიპლომატების მხრიდან კეთდებოდა განცხადებები, მაგრამ ამას არ მოჰყოლია კონკრეტული სადამსჯელო ზომები. დღეს დასავლეთი უფრო პრინციპულია რუსეთის მიმართ“,** — ამბობს **ნიკა ჩიტაძე**.

ქართველი ექსპერტის აზრით, რუსეთის უკანონო ქმედებები საქართველოს მიმართ, მუდმივად უნდა განიხილებოდეს და იდგეს დასავლური სამყაროს დღის წესრიგში. ხოლო ევროკავშირის სანქციებს რაც შეეხება, ცხადია, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, თავისთავად, მოქმედებს საქართველოზეც და დასავლეთზეც. არსებობს ერთობლივი საწარმოები. ბევრ დასავლურ კომპანიას აქვს რუსეთში ინვესტიციები. ეძებენ რუსული გაზის ალტერნატივას.

„ვერსიასთან“ საუბრისას ნიკა ჩიტაძე აცხადებს, რომ **„ბოლო ხანებში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში რუსეთის წილი 2%-დან თითქმის 10%-მდე გაიზარდა. ლარის კურსის ვარდნა განაპირობა ექსპორტის შემცირებამაც. შემცირდა გზავნილების მოცულობა. მათი 60%-ზე მეტი, ოფიციალური მონაცემებით მოდიოდა რუსეთის ფედერაციაზე. რა თქმა უნდა საქართველოს ეკონომიკა ზარალდება, მაგრამ ამ სანქციებით ყველაზე მეტად ზარალდება რუსეთის ეკონომიკა. წინასწარი პროგნოზით შესაძლებელია თქმა, რომ 2015 წელს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 5%-ით შემცირდება. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაციის პროცესია და სხვადასხვა ეკონომიკები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ბუნებრივია, ეს საქართველოზეც აისახება. მაგრამ სანქციების ამოქმედება იყო ერთადერთი შანსი და გამოსავალი, რომ როგორმე, შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარდეს უკრაინის კრიზისი და გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენი ორი ოკუპირებული რეგიონის დეოკუპაცია მოხდეს“.**

წაგებული თამაში

წინასაარჩევნო პერიოდებში საქართველოში ხელისუფლებები აქტიურად იყენებდნენ მტრის ხატს. კონფლიქტურ რეგიონებში ტრადიციულად ხშირდებოდა პროვოკაციები, მწვავდებოდა ვითარება. მოსახლეობის ყურადღება სოციალური პრობლემებიდან საგარეო საფრთხეებისკენ ინაცვლებდა. მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხის შესახებ განცხადებები ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან დღესაც კეთდება. ამ დღეებში მსგავსი განცხადება გააკეთა შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმაც. მისი თქმით, საფრთხეები შესაძლოა მომდინარეობდეს სირიიდან, ერაყიდან, მაგრამ რუსეთი არ უხსენებია. ექსპერტი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება შეგნებულად არიდებს თავს რუსეთთან კონფრონტაციას და „ოცნება“ წაგებულ თამაშში არ ჩაერთვება. სამაგიეროდ ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა საუბრობს ქართულ პოლიტიკაში რუსული ფულის აქტიურ შემოდინებაზე, პრორუსული ძალების გააქტიურებაზე.

ექსპერტი **ნიკა ჩიტაძე** არ გამორიცხავს, ეფექტური პოლიტიკის შემთხვევაში, არსებული საგარეო ვითარებიდან საქართველომ მეტი სარგებელი მიიღოს და რუსეთს დათმობაზე წასვლა აიძულოს: **„სანამ რუსეთს გააჩნია სავალუტო რეზერვები, ის განაგრძობს თავის აგრესიულ პოლიტიკას და ცდილობს, მაქსიმალური მოგება მიიღოს. როდესაც რუსეთი კიდევ უფრო დასუსტდება, იძულებული გახდება, კომპრომისული ნაბიჯები გადადგას. რეალისტები რომ ვიყოთ, დეოკუპაცია გაცილებით ხანგრძლივი პროცესია. შეგვიძლია, ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ. დასაწყისისთვის რუსეთმა შეაჩეროს ოკუპირებული რეგიონებიდან ადამიანების გატაცება და პროვოკაციები“.**

აქვს თუ არა „ოცნებას“ სამეზობლო პოლიტიკაში სტრატეგიული გათვლა, დრო გვიჩვენებს. ჟენევის მოლაპარაკებების განახლებას კი ჯერჯერობით პირი არ უჩანს. თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, უცხოელ ჟურნალისტებთან დაჟინებით იმეორებს, რომ საქართველოსთან დიპლომატიური კავშირები არ შეუწყვეტიათ და კარასინი-აბაშიძის შეხვედრების ფორმატი გრძელდება.

ვერსიანიუსი

საქართველოში ჯონ კერის ვიზიტზე მუშაობა მიმდინარეობს

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის საქართველოში ვიზიტი ჯერ დადასტურებული არ არის. საგარეო უწყების სპიკერის, დავით კერესელიძის განმარტებით, აშშ-ში თამარ ბერუჩაშვილის ვიზიტის ფარგლებში საქართველოში დაიგეგმა სტრატეგიული პარტნიორობის პლენარული სესია და გამოითქვა იმედი, რომ ამ სხდომას აშშ-დან სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი წარუძღვება: **„საქართველოში ჯონ კერის ვიზიტზე მუშაობა მიმდინარეობს. საგარეო საქმეთა მინისტრის აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრა — სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პლენარული სხდომის ორგანიზება, რომელიც სავარაუდოდ, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაიმართება. მიმდინარეობს იმაზე მუშაობა და გვაქვს იმედი, რომ აშშ-დან ამ სხდომას წარუძღვება სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი. ამაზე ვმუშაობთ, ეს ჯერ დადასტურებული არ არის“.**

„პირველი“

საქართველოში ვიზების აღების ელექტრონული სისტემა დაინერგა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ელექტრონული ვიზის ახალი ვებ-სისტემის პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა. ვიზის აღების ახალი სისტემის მეშვეობით, ქვეყანაში ტურისტული და საქმიანი მიზნით მომავალ უცხოელებს შესაძლებლობა მიეცემათ, საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებებში გამოცხადების გარეშე მიიღონ ელექტრონული ვიზა.

სავიზო განაცხადის შევსება ინტერნეტკავშირის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ელექტრონული ვიზის სერვისი აქტიურად გამოიყენება და დანერგილია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი, ავსტრალია, ვიეტნამი, სინგაპური, მეზობელი აზერბაიჯანი, მეზობელი სომხეთი, ბაჰრეინის სამეფო, კამბოჯის სამეფო.

bpn.ge

ბარაკ ობამა უკრაინისთვის თავდაცვითი იარაღის შესაძლო მიწოდებაზე კონსულტაციებს მართავს

აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას განცხადებით, თუ დიპლომატიური გზით უკრაინის კრიზისი ვერ მოგვარდება, აშშ უკრაინას თავდაცვით იარაღს მიაწვდის.

ამ თემაზე ობამამ ვაშინგტონში, გერმანიის კანცლერთან ანგელა მერკელთან შეხვედრის შემდეგ ისაუბრა: **„თუ დიპლომატიური გზით საკითხის მოგვარების შანსი დაიკარგება, ჩემს გუნდს სხვა შესაძლებლობების გამოყენებას ვთხოვ. ერთ-ერთი ასეთი გზა კი უკრაინისთვის მცირე თავდაცვითი იარაღის მიწოდებაა, თუმცა ამის შესახებ ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. ამ საკითხზე მე უკვე მქონდა კონსულტაცია ანგელა მერკელთან, მაგრამ სხვა მოკავშირეებთანაც განვიხილავ“.**

„პირველი“

რატომ გაძვირდა ავტოგაზი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კიდევ აწევენ თუ არა ფასს გაზგასამართი სადგურები და გაძვირდება თუ არა პროდუქტი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მთავრობის ეკონომიკური გუნდი „სოკართან“ მოლაპარაკებას მართავს, რათა 2015 წლის 1 მარტიდან, აზერბაიჯანულმა კომპანიამ საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს, ბუნებრივი აირის საფასური 10 თეთრით არ გაუძვიროს. თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება ავტოგაზის ტარიფის საკითხი, რადგან, თუ ავტოგაზი გაძვირდება, ეს პროცესი დომინოს პრინციპით, ავტომატურად აისახება ყველა სახის პროდუქტზე. თბილისში მოქმედი კერძო ტაქსების უმრავლესობა და გადამზიდავი კომპანიები, გაზის საწვავზე მუშაობენ. მათ შორის არიან რიგითი ავტომფლობელებიც, რომლებმაც ავტომანქანები გაზზე გადაიყვანეს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეროვნული ვალუტის, ლარის გაუფასურების გამო, შესაძლოა, ავტოგაზი გაძვირდეს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ავტოგაზის რეალიზატორები პროდუქტს დოლარში ყიდულობენ და ლარში ყიდიან, ამიტომ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, გაზგასამართ სადგურებზეც მოქმედებს. არსებობს მეორე ვერსიაც, ავტოგაზის რეალიზატორებს ბოლო დროს გაყიდვები შეუმცირდათ, რადგან საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასის ვარდნის გამო, ბენზინის საწვავი საქართველოში მცირედ, მაგრამ მაინც გაიაფდა.

პრემიერ-მინისტრმა არაერთხელ მოუწოდა ნავთობპროდუქტების იმპორტიორებს, რომ საქართველოში ბენზინის გაიაფების ტენდენცია იმ პროცესის ადეკვატური არ არის, რაც მსოფლიოში, ნავთობპროდუქტების ბაზარზე შეინიშნება. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ ბენზინი მომავალშიც გაიაფდეს. შესაბამისად, იმ ავტომფლობელებმა, რომლებმაც არც ისე დიდი ხნის წინ, საკუთარი ავტომობილები გაზის საწვავზე გადაიყვანეს, ახლა ისევ ბენზინის საწვავის მოხმარება დაიწყეს.

რა ხდება გაზგასამართ სადგურებზე? გაძვირდება თუ არა ავტოგაზი? „ვერსიას“ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე, **ვანო მთვრალაშვილი** ესაუბრება:

— ავტოგაზი ბენზინის საწვავის პირდაპირი კონკურენტია, რადგან წლების განმავლობაში, ბენზინის მომხმარებლები ავტოგაზის მოხმარებაზე გადადიან. ტექნიკურად, ეს ძალიან მარტივი პროცედურაა, ამიტომ ბენზინისა და ავტოგაზის ფასები ერთმანეთთან კავშირშია. ბოლო დროს, ბენზინის საწვავის ფასი იკლებს, რადგან ბრენდირებულ სადგურებზე „რეგულარის“ მინიმალური ფასი 1.59 ლარია. თუმცა გამორიცხული არ არის, ბენზინი 1.45 ლარად, 1.40 ლარად და 1.35 ლარადაც კი შეიძინოთ. ცხადია, ბენზინის საწვავის ფასი, ავტოგაზის ფასს უახლოვდება და თავისთავად, ეს მოცემულობა იმის წინაპირობას ქმნის, რომ ავტოგაზის მოხმარება შემცირდება. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ავტომფლობელს ურჩევნია, ისევ გაიაფებული ბენზინი მოიხმაროს. შესაბამისად, ახლა რომ ავტოგაზის ფასი გაიზარდოს, ეს პირდაპირ იმოქმედებს გაყიდვებზე, რადგან გაზგასამართი სადგურების მფლობელებს რეალიზაცია შეუმცირდებათ. თუმცა არსებობს მეორე, ობიექტური ფაქტორი — ავტოგაზის რეალიზატორები, გაზის კონტრაქტებს დოლარში ახორციელებენ, მაგრამ პროდუქტს ლარში ყიდიან. გარდა ამისა, ავტოგაზის რეალიზატორებს კრედიტებიც დოლარში აქვთ აღებული, რათა გაზგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურა გამართონ. იმ პირობებში, როდესაც ლარი, აშშ დოლართან მიმართებაში უფასურდება, რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ მოქმედებს გაზგასამართი სადგურების რენტაბელობაზე. თუმცა ამ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში, ის მოცემულობა, რაც დღესაა, ავტოგაზზე მომუშავე კომპანიების ნაწილს იმის საშუალებას აძლევს, რომ ავტოგაზის ფასი არ გაზარდონ. ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ შეიძლება ფასის შენარჩუნება, მაგრამ ახლა ძნელია თქმა, მოუმატებენ თუ არა ავტოგაზის ფასს რეალიზატორები — ეს უკვე კონკურენციის საკითხია. რაც მთავარია, ეროვნული ვალუტა უკვე კრიტიკულ ზღვრამდეა მისული და ლარის კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, ასეთი საშიშროება ნამდვილად არის.

— ბატონო ვანო, რა ღირს დღეს ავტოგაზი?

— 1.13, 1.15, ზოგან — 1.20 ლარიც კი. ჯერჯერობით, ავტოგაზის გაძვირება არ იგეგმება, რადგან ამ ეტაპზე, რეალიზატორები თავს შეიკავებენ. თუმცა, ძნელია თქმა, რა იქნება მომავალში.

— იმის გამო, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტი გაიაფდა, საქართველოში მცირედით, მაგრამ ბენზინის საწვავის ფასი აგვისტოდან დღემდე, 30 თეთრით შემცირდა. ეს პროცესი ხომ არ გამოიწვევს ავტოგაზის გაძვირებას?

— ახლა, როდესაც ნავთობპროდუქტების ფასი მცირდება, გარკვეულწილად, ეს პროცესი ავტოგაზის ინდუსტრიას საფრთხეს უქმნის, რომელიც ბოლო დროს, კარგად ვითარდებოდა. ფაქტობრივად, საქართველოში რეგიონი არ არის, სადაც გაზგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს და ზოგადად, ავტოგაზი მომხმარებლებსაც კომფორტს უქმნის, ბენზინის საწვავის ფასი კი ავტოგაზის ინდუსტრიის სწორად განვითარებას საფრთხეს უქმნის. თუ ბენზინის საწვავი უფრო გაიაფდება, ეს დამატებითი, უარყოფითი ფაქტორი იქნება გაზგასამართი სადგურების რეალიზატორებისთვის. თუ დღეს არსებულ ლარის კურსს შევინარჩუნებთ, გაზგასამართი სადგურების შესანარჩუნებლად, ეს იქნება წინგადადგმული და სტაბილური ნაბიჯი. თუ ლარი მეტად გაუფასურდება, ეს საკმაოდ რისკიანი პროცესი იქნება, მათ შორის, ავტოგაზის რეალიზატორებისთვისაც.

— თუ ავტოგაზი გაძვირდება, ეს სხვა პროდუქტის ფასზეც აისახება?

— რა თქმა უნდა. ბოლო დროს, საქართველოში და განსაკუთრებით, თბილისში, კერძო ტაქსების აბსოლუტური უმრავლესობა ავტოგაზის მომხმარებლები არიან. კერძო ტაქსების გარდა, ავტოგაზით გადამზიდავი საშუალებებიც სარგებლობენ და თუ ავტოგაზი გაძვირდება, ცხადია, ამას სხვა პროდუქტების გაძვირებაც მოჰყვება. თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ ავტოგაზი არ გაძვირდება.

***

„ვერსიამ“ გაარკვია, რომ 2014 წლის დეკემბერში, საქართველოში მოქმედ ყველა გაზგასამართ სადგურზე, ავტოგაზი 5 თეთრით უკვე გაძვირდა.

გაზგასამართი სადგური „გამას“ წარმომადგენლებმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე, ავტოგაზი არ გაძვირდება: **„ჩვენს გაზგასამართ სადგურებზე, ავტოგაზის ფასი ისევ 1.15 ლარია. ამ ეტაპზე, პროდუქტის გაძვირებას არ ვგეგმავთ, მაგრამ, თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში ისევ გაუფასურდება, რა თქმა უნდა, ავტოგაზს გავაძვირებთ“.**

გაზგასამართი სადგურის „სუპერგაზი იტალიას“ წარმომადგენლებმა „ვერსიას“ განუცხადეს, რომ კომპანია ავტოგაზის გაძვირებას არ გეგმავს. თუმცა „გამას“ წარმომადგენლების მსგავსად, „სუპერგაზი იტალიის“ მენეჯმენტიც ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსზეა დამოკიდებული: **„ცხადია, ლარის კურსი გავლენას ახდენს ჩვენი პროდუქციის ფასზე, რადგან ავტოგაზს დოლარში ვყიდულობთ და ლარში ვყიდით. ახლა გაძვირებას არ ვგეგმავთ და ჩვენს გაზგასამართ სადგურებში, ამ პროდუქტის ფასი ისევ 1.15 ლარი იქნება. თუმცა შარშან დეკემბერში, საქართველოში მოქმედი გაზგასამართი სადგურების წარმომადგენლებმა, ავტოგაზი უკვე გავაძვირეთ“.**

ვაკე-საბურთალოს ტროტუარებზე პარკირება იკრძალება — განიტვირთება თუ არა ქალაქი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

რა პრინციპით შეარჩია თბილისის მერიამ ორი უბანი და გავრცელდება თუ არა ახალი აკრძალვა დედაქალაქის სხვა უბნებზე

თბილისის მთავრობამ 210 ტროტუარზე პარკირების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. ბოლო ინფორმაციით, ვაკე-საბურთალოს 50-ზე მეტი ადგილი უკვე გაუქმებულია. „ვერსიამ“ გაარკვია, რა პრინციპით შეარჩიეს მაინცდამაინც ეს ორი უბანი, როცა ამ მხრივ, სავალალო მდგომარეობაა, დედაქალაქის ბევრ სხვა უბანშიც.

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მერის დავალებით საკითხი შეისწავლეს და რამდენიმე ტროტუარზე კრიტიკული მდგომარეობა აღმოჩნდა: **„ავტომანქანების პარკირების შემდგომ იქ აღარ რჩებოდა ადგილი ფეხით მოსიარულეთათვის. არადა, ტროტუარი სწორედ მათთვის განკუთვნილი სივრცეა. ამ ფონზე, გადავწყვიტეთ, 210 პარკირების ადგილი გავაუქმოთ ტროტუარებზე, რაც შვებას მისცემს ფეხით მოსიარულეებს“.** თბილისის მერის თქმით, ადგილებში, სადაც ტროტუარის სიგანე სამ მეტრზე ნაკლებია, ავტომანქანების პარკირება გაუქმდება.

დავალება, თბილისის მერისგან, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა, წლის დასაწყისში მიიღო. დავით ნარმანიას განმარტებით, ვიწრო ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირება ფეხით მოსიარულეებს დისკომფორტს უქმნის, რაც მათ სამართლიან გულისწყრომას იწვევს. **„ტროტუარებზე უკანონო პარკირებებთან დაკავშირებით, აქტიურად მოგვმართავენ მოქალაქეები. ჩვენი წინამორბედების მმართველობის პერიოდში, დაახლოებით 2 000-მდე ადგილია გაცემული, სადაც პარკირება ოფიციალურადაა ნებადართული“,** — განაცხადა მაშინ **ნარმანიამ** და შესაბამის სამსახურს იმ ქუჩების ზუსტი ჩამონათვალის წარდგენა მოსთხოვა, სადაც პარკირება ნებადართულია და ამ ადგილებში მანქანების გაჩერების შეზღუდვის შესახებ ინიციატივის მომზადება დაავალა. რაც შეეხება ქვეითმოსიარულეთა გადასასვლელებს, თბილისის მერის თქმით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შესაბამის სამსახურებთან და საპატრულო პოლიციასთან ერთად აქტიურად უნდა იმუშაოს, რომ უპირატესობა ქვეითმოსიარულეებს მიენიჭოს და არა ავტომობილებს. პარალელურად, დედაქალაქის თავკაცმა, მოქალაქეებს მოუწოდა, გადასასვლელებით ისარგებლონ.

ქალაქის მერის განცხადებით, უახლოეს მომავალში, მუშაობა დაიწყება ინვესტორი კომპანიების მოსაზიდად, რათა აშენდეს მიწისქვეშა და მიწისზედა მრავალსართულიანი პარკირების ადგილები და პარკირების შეზღუდვამ მძღოლებს დისკომფორტი არ შეუქმნას.

იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებულ ადგილებზე კვლავ მოხდება არასწორი პარკირება, მოქალაქეები დაჯარიმდებიან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პარკირების ოპერატორი კომპანია შპს „სიტი პარკის“ ცნობით, ჯარიმა იქნება სტანდარტული — 10 ლარი. **„იმის გამო, რომ ჭავჭავაძის გამზირზე პარკირების ადგილები არ იყო და საკმაოდ განიერი ტროტუარები იძლეოდა საშუალებას, ქალაქის ძველი მთავრობის დროს, გაიცა ტროტუარებზე მანქანების დაყენების ნებართვა. ასეთ ადგილებში, ერთი მანქანის დაყენების შემთხვევაში (დაახლოებით 2.5 მეტრს იკავებს), ქვეით მოსიარულეს კი არა, საბავშვო ეტლიან მშობელსაც და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირსაც შეეძლო გაცვლა“,** — განმარტებას „სიტი-პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ლევან ტაბიძე.** მანვე განგვიცხადა, რომ ყველა ადგილის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, მაგრამ მაგალითად „ბიგ-ბენთან“, სადაც მერიის გადაწყვეტილებით უკვე აიკრძალა პარკირება, ტროტუარი 3 მეტრზე მეტია და შესაბამისად, ორი მანქანა ეტეოდა. ამ ფონზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაბამის უწყებებს მერის დავალება არც ისე გულდასმით შეუსრულებიათ. სამაგიეროდ, არავინ დავობს პეკინის ქუჩაზე, სადაც ფეხით გავლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. იგივე ვითარებაა აღმაშენებლის გამზირზეც, მაგრამ „სიტი პარკის“ ინფორმაციით, აქ, ტროტუარზე პარკირება არც არასოდეს ყოფილა ნებადართული.

ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მერიამ, ფეხით მოსიარულეთათვის, მართლაც კარგი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ კრიტიკასაც არ იშურებენ — ჯერ მიწისქვეშა და მიწისზედა სადგომები უნდა შექმნილიყო და პარკირებაზე შეზღუდვა მერე დაწესებულიყოო.

მოქალაქე **ბაია ნიკოლაიშვილი,** არც ვაკეში ცხოვრობს და არც საბურთალოს მკვიდრია. მისთვის, პარკირების წესის შეზღუდვა უბნების მიხედვით, მიუღებელია: **„ყველგან თანაბრად უნდა მოხდეს აკრძალვა. მანქანა ჩუღურეთშიც აწუხებს ადამიანს ტროტუარზე თუ ტროტუართან. ტროტუარებიც სრულიად დაზიანებულია. ვაზისუბანშიც ასეა, სამგორშიც და დედაქალაქის სხვა უბნებშიც“.**

ქალბატონი ბაიას აზრს იზიარებენ თბილისის სხვა უბნების მკვიდრებიც. ისინი, ვისაც ტროტუარებზე გაჩერებული მანქანები დისკომფორტს უქმნის. მათაც ვერ გაუგიათ, რა პრინციპით შეარჩიეს პარკირების აკრძალვისას ვაკე და საბურთალო. თბილისის მერიის პრესცენტრში კი აცხადებენ, რომ ტროტუარებზე პარკირება ეტაპობრივად, სხვა რაიონებშიც აიკრძალება, თუმცა უცნობია, როდის.

სვანური ვენდეტა ზონაზე

რატომ არ გამოასალმა სიცოცხლეს პატიმარმა 24 წლის ბიჭის მკვლელი

პატიმარი №0578

მას შემდეგ, რაც დახვრეტის მუხლი სამუდამო პატიმრობით შეიცვალა, ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და სამუდამო პატიმრობამისჯილ მსჯავრდებულებს ცალკე ამყოფებს. არადა, იყო პერიოდი, როცა ამბობდნენ, რომ ისინი რიგით პატიმრებთან ერთად უნდა მოეთავსებინათ, რაც უდიდესი შეცდომა იქნებოდა — სამუდამომისჯილმა იცის, დასაკარგი არაფერი აქვს, „სროკს“ ვეღარ დაუმატებენ და ნებისმიერს იოლად გაიმეტებს.

სამუდამო პატიმრებისგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან ისინი, ვისაც 30 წელი აქვს მისჯილი. წარმოიდგინეთ, დაიჭირეს 30 წლის კაცი, რომელსაც სასამართლომ 30 წელი მიუსაჯა და მან იცის, რომ ვერც ოჯახი და ვერც სხვა, მის გამოხსნას ვერ შეძლებს. 60 წლის ასაკში გარეთ გასვლას უბრალოდ აზრი აქვს დაკარგული და ამიტომ, ასეთი პატიმარი ცდილობს მაქსიმალური კომფორტი ციხეში შეიქმნას, ამას კი ფული სჭირდება...

ჭავჭავაძის ქუჩაზე მომხდარ ჩხუბს 24 წლის ბიჭი ემსხვერპლა. ვიღაცამ დანა მოიქნია და კიდევ ერთი ქართველი გაიწირა ქართველის ხელით. პოლიციამ დამნაშავე მალევე დააკავა, სასამართლომ კი ბრალდებულს 15 წელი მიუსაჯა. ამ 15 წელზე მეტად, განსასჯელს იმის ეშინოდა, რომ ვინც მოკლა, სვანი იყო — გრძნობდა, სვანური ვენდეტა ახლოს იყო. ესეც რომ არა, გარდაცვლილის ოჯახი შეძლებული გახლდათ და წესით, ციხეში ვინმე ცივსისხლიანი მკვლელის პოვნა არ უნდა გასჭირვებოდათ, ამიტომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი სათუთად არჩევდა დაწესებულებას, სადაც მკვლელი უნდა გაეგზავნა. გადამწმების შედეგად დადგინდა, რომ სანდროსთვის (ასე ერქვა მკვლელს) ყველაზე უსაფრთხო რუსთავის №17 ზონა იყო. იქ არც ბევრი სვანი იჯდა. იმ სვანებიდან კი, ვინც რუსთავის №17 ზონაზე იყო, არც ერთი ენათესავებოდა გარდაცვლილს.

„დღეს ის მკვლელი მოჰყავთ, ჭავჭავაძეზე ბიჭი რომ შეიწირა. სვანები გააფრთხილე, უჩემოდ არაფერი ქნან. ვიცი, კბილებს ილესავენ, მაგრამ მაქსიმუმ დაილეწოს ეგ კაცი, ჩხუბი იყო, იმასაც მოხვედრილი აქვს დანა და მოკლედ, გაწირვა არ გამოვა“, — ზონის მაყურებელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მაყურებელს თავის კამერაში ესაუბრებოდა.

„მე კი ვეტყვი, მაგრამ ისე ემზადებიან, მაგრად დალეწავენ. ამიტომ, როგორც კი მოვა, შენთან უნდა დაიბარო და თუ მოსახვედრია, აქ მოხვდეს. ბოლობოლო, ზედმეტი თუ მოუვათ, იტყვი და გაჩერდებიან, შენს სიტყვას არ გადავლენ“, — თქვა რეგიონის მაყურებელმა.

სანდრო ზონაზე ღამით აიყვანეს და იმ კამერაში შეიყვანეს, სადაც არც ერთი სვანი არ იჯდა. დილით, როგორც კი საკნები გაიღო, მაყურებელი სანდროს კამერაში გაჩნდა და თვალით ანიშნა, გამომყევიო. გზად მათ სვანეთის მთელი რეგიონი შეუერთდა.

„თუ არ ჩაერევით, მართლა მოკლავენ“, — ჩუმად უთხრა პატიმარმა №0578-მა მეგობარს და გუნდს უკან აედევნა.

მაყურებლის კამერაში ტევა არ იყო. რიგითი ჩხუბის დროს დანის ხმარებას არანაირი გამართლება არ ჰქონდა და ამიტომ, სანდროს მალე გამოუტანეს განაჩენი. მაყურებელმა ხელი გაარტყა და რამდენიმე პატიმარი გასაგლეჯად ეცა. №0578 ამ ყველაფერს ნარის მეორე სართულიდან უყურებდა და არაფერს აკეთებდა. როცა მიხვდა, სანდრო გონს კარგავდა და წიხლებს, პრაქტიკულად, გათიშულ თავში ურტყამდნენ, მაყურებელს თვალით ანიშნა, ნარიდან თავადაც ჩამოხტა და სანდრო ნარის ქვეშ შეტენა. სვანების დაშოშმინება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ყველა, როგორც ერთი, პატიმრის მოსაკლავად იწევდა.

„მორჩა, მორჩა-მეთქი, არ დაგაბრედინებთ. მორჩა...“, — ღრიალებდა მაყურებელი, მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა. როგორც ჩანს, ვიღაცებმა მოიფიქრეს და კორპუსზე რეჟიმი გამოჩნდა. პატიმრის ცემა ყველამ შეწყვიტა, ოფიცრებმა გონდაკარგული სანდრო სამედიცინო ნაწილში წაათრიეს, მაყურებელმა კი ხმა აღიმაღლა.

„მოკვდა ბაზარი, მისაღები მიიღო. ამას იქით, უმიზეზოდ ხმა არავინ გასცეს“, — გამოაცხადა მან.

„ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია“, — შეეპასუხა ერთ-ერთი სვანი.

„მე დავამთავრე და ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. ვინც ვერ გაიგებს, მოეთხოვება“, — ჯიუტად გაიმეორა მაყურებელმა და ყველა მიხვდა, რომ სანდროსთვის უმიზეზოდ ხელის დადებას მაყურებლის რისხვა მოჰყვებოდა.

ამ ამბიდან ერთი თვეც არ იქნებოდა გასული, №0578-ს პაემანზე დაუძახეს.

„რაღაც ხდება. ჩემებს არ ველოდები, ადვოკატს გუშინ ვეღაპარაკე და არ უთქვამს, მოვალო. ან ეტაპში ვარ, ან მაკარცერებენ, ან რაღაც ისეთი მოხდა, რასაც აქ ვერ მეუბნებიან და როგორც წესი, ამ დროს, ოჯახის რომელიმე წევრის გარდაცვალებას გვატყობინებენ. მოკლედ, სამივე შემთხვევაში უკანალში ვარ“, — დაიბარა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

პაემნების ოთახში გადასულს უთხრეს, ადვოკატი მოვიდაო და, როცა ნაცნობი სახის ნაცვლად, უცხო კაცი დაინახა, მშვიდად უთხრა: „ალბათ შეგეშალა, პატივცემულო, მე პატიმარი №0578 ვარ, თქვენ ალბათ სხვასთან ხართ. არ არის პრობლემა, დაუძახეთ, მოიყვანენ ხუთ წუთში“.

„არა, არ შემშლია, სწორედ შენს სანახავად ვარ მოსული და ძალიან სერიოზული საქმე მაქვს“, — ლამის ჩურჩულით უთხრა ახალმა ადვოკატმა.

„ჩემთან? სერიოზული საქმე? და რატომ უნდა დაგიჯერო კაცს, რომელსაც პირველად ვხედავ?“ — გაეცინა №0578-ს.

„იმიტომ, რომ მე უცხო არ ვარ, თქვენი ნათესავების მიერ დაქირავებული ადვოკატი ვარ. კონკრეტული დავალება მაქვს“, — ჩურჩული განაგრძო უცნობმა.

„მიდი, აბა, გისმენ. არ მოგერიდოს“, — ხუმრობის ხასიათზე დადგა №0578.

„შენი სიდედრის დედის დას, ანუ დეიდას ხომ იცნობ? იმის სიძის ცოლის დისშვილია ის ბიჭი, ჭავჭავაძეზე რომ მოკლეს“, — დაიწყო უცნობმა.

„მოიცა, კაცო, ნუ გაუტიე. ჩემი ცოლის ბებიის დაზე მეუბნები. მერე როგორ თქვი? იმ ქალის სიძის ცოლის დისშვილი, ხო?! აღარ გააგრძელო, თუ ძმა ხარ, ადამ და ევამდე მიხვალ და მერე მე გადამეხვევი, ძმები ვყოფილვართო“, — პატიმარი აშკარად ხუმრობის ხასიათზე იყო.

„მომისმინე, მართლა არ მაქვს სახუმარო საქმე. შენ 12 წელი გაქვს მისჯილი, აქედან 10 წელი წინ გაქვს. რა გამოდის? ეს 10 წელი უნდა იჯდე და იჯდე“, — განაგრძო უცნობმა.

„რათა, კაცო? კიდეც ვდგავარ ხოლმე. მაგასაც მითვლიან სროკში. შენ წარმოიდგინე, წამოწოლილი როცა ვარ, იმასაც მითვლიან და შენ კიდევ მარტო ჯდომაზე მელაპარაკები. ჩემიანი ხარ თუ მოგზავნილი, კაცო?!“ — პატიმარი ისევ ხუმრობდა.

„ვაჟკაცურად, თვეში რამდენ ლარს ხარჯავ ლარიოკში?“ — საუბრის თემა შეცვალა მოსულმა.

„კონტროლის პალატა ხარ, რა გინდა?!“ — გაღიზიანდა პატიმარი.

„მითხარი და გეტყვი, რისთვისაც ვარ მოსული“, — არ დანებდა ადვოკატი.

„დაახლოებით 400 ლარს, ანუ კვირაში ასი ლარი. ხან მეტიც არის, ხან ნაკლები... საშუალოდ ასეა რა. და შენ რა ამით?“ — დაინტერესდა №0578.

„ანუ თვეში 200 დოლარს ხარჯავ, წელიწადში 2400 დოლარი გამოდის. ეს სამ წელზე რომ გაამრავლო, შვიდი ათასზე ცოტა მეტია. სამ წელში ათი ათასი რომ გადაგიხადონ, მოსულა?!“ — გამარჯვებულის სახით დააბოლოვა ადვოკატმა.

„და რაში უნდა გადამიხადონ ეგ ათი ათასი? ან რაღა სამ წელზე მიხდით, თუ გადახდაა, ათი მაქვს დარჩენილი და იმაზე გადაანაწილეთ“, — გაეცინა №0578-ს.

„არა, ვერ გაიგე. შენ სანდროს მოკლავ, პატიმრის მკვლელობაზე სამ წელზე მეტს რომ არ მოგცემენ, შენც იცი და ამას გარედან ჩვენც უზრუნველყოფთ. ჰოდა, ის სამი წელი გაგარინივით იქნები. მიხვდი საქმის არსს?!“ — ჰკითხა ადვოკატმა.

„მოიცა. გამოდის, ჩემს 12 წელს კიდევ სამს ვამატებ, რომელსაც თურმე თქვენ მიფინანსებთ. თან კაცი უნდა მოვკლა და მკვლელის სახელით ჯერ აქ უნდა ვიცხოვრო, 15 წლის შემდეგ — გარეთ. თან ისიც უნდა გავითვალისწინო, რომ სანდროსაც შეიძლება აღმოაჩნდეს სიდედრის დეიდის ვიღაცა აქ და იმან ყელი გამომჭრას. ეს ყველაფერი რატომ უნდა გავაკეთო, კარგად განმანათლე, აბა?!“, — პატიმარს ხმაში სიბრაზე დაეტყო.

„მომისმინე, მე რას მიბრაზდები? შენმა ნათესავებმა რაც დამაბარეს, იმას გეუბნები. ათი ათასი ცოტა არ არის, თან ანგელოზივით ბიჭი ჩააწვინა იმ ახვარმა საფლავში. მოკლედ, იფიქრე, სამ დღეში მოვალ და პასუხი მითხარი“, — თქვა ადვოკატმა და წასასვლელად წამოიწია.

„დაეგდე, ნაბიჭვარო“, — მხარზე ხელი დაარტყა პატიმარმა და ძალით დასვა. „რა სამ დღეში მოხვალ და პასუხი გითხრა? შენ ამ დილით ხომ არ ჩამოგიკრავს? ან იმათ, გარეთ რომ მენათესავებიან, თურმე და აზრზე ვერ მოვდივარ, ვინ არიან, ხომ არ ასლოკინებთ? ხვდები მაინც, რა მითხარი ამხელა სირმა? ახლა რომ აქვე დაგკლა და შენი თავი ბადრაგს პაატასავით გავატანო იმათთან, გარეთ რომ მოუთმენლად გელიან, ხომ ხარ ღირსი? ათი ათასად სისხლის აღება გადაწყვიტეთ და სხვისი ცხოვრება წიხლზეც გკიდიათ, არა? შენი ნაბიჭვარი დედა აქვე უნდა ვიხმარო ახლა და გარეთ როცა გამოვალ, იმათ მერე ვნახავ“, — იღრიალა პატიმარმა, სკამიდან წამოხტა და ფეხი მთელი ძალით მოიქნია.

ადვოკატის ღრიალმა იქაურობა შეძრა, ოთახში ბადრაგი შემოვარდა და ჯერ პატიმარი გააკავა, მერე კი ნახევრად გათიშული ადვოკატი გაათრია ოთახიდან.

„რა დაარტყი ასეთი, რა გითხრა?!“ — ჰკითხა ბადრაგმა №0578-ს კარცერისკენ მიმავალ გზაზე.

„არაფერი, სროკის ბოლომდე ვერაფერს გიშველიო“, — ცალყბად უპასუხა პატიმარმა.

„იცი, რა ჭირდა? ცხვირი რომ მოიხოცა, სისხლისგან უნდოდა გამოერეცხა ვითომ, სისხლს ცხვირიდან ხრტილები გამოაყოლა, დაფშვნილი ჰქონდა ყველაფერი. ერთი ეგ თქვა, ჩემი ბრალია, ჩივილს არ ვაპირებო და შურდულივით გავარდა. პრინციპში, რაღა გავარდა, კედელ-კედელ გაუყვა, რა. ჰოდა, ახლა ამისთვის ოცდღიანი კარცერი გაქვს, ძმაო“, — გაეცინა ბადრაგს.

* * *

„სანდრიკ, გაგიჭირდება, მაგრამ მინიმუმ ერთი წელი გლდანის ციხეში ადინოჩკაში უნდა გამოიკეტო, სხვაგვარად ვინმეს დაითანხმებენ და დაგბრიდავს რომელიმე გაბოროტებული. მეტი არაფერი მკითხო, იცოდე, არ ჩერდებიან და სიცოცხლე თუ გინდა, მარტო უნდა იცოცხლო და ისიც გლდანის ციხეში“, — კარცერიდან ამოსულმა №0578-მა აბანოში შესვლამდე სანდრიკას საკანში შეიარა.

მეორე დღეს სანდრიკა გლდანის ციხის გზას გაუყენეს, სადაც სასჯელს... დღემდე იხდის და დღემდე სამარტოო საკანში იმყოფება.

ვერსიანიუსი

მკვლელობის ბრალდებით ძებნილი პირის ექსტრადიცია განხორციელდა

საქართველოში ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს, იუსტიციის სამინისტროს და მთავარი პროკურატურის მიერ გატარებული ზომების შედეგად, მანჩესტერის ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან თანამშრომლობით, მკვლელობის ბრალდებით ძებნილი 1960 წელს დაბადებული ვაქილ ბადოევის ექსტრადიცია განხორციელდა.

აღნიშნული პიროვნება, დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით, ინტერპოლის წითელი ცირკულარით 2007 წლის 7 მარტიდან იძებნებოდა. ვაქილ ბადოევი დამნაშავედ იყო ცნობილი საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (მკვლელობა).

ვაქილ ბადოევმა 2005 წლის 15 მარტს გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში, შურისძიების მიზნით, დანის დარტყმით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა თამაზ აბრამიშვილს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. ვაქილ ბადოევი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. იგი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში დააკავეს. ვაქილ ბადოევის საქართველოში ექსტრადიცია 10 თებერვალს განხორციელდა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ დაჭრის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული ტარიელ უ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ორი არასრულწლოვანი — პარალელური კლასელები ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მოზარდები სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

მეთევზეები გარემოს დაცვის მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დადგენილება, ნიჩბიანი და ძრავიანი ნავების რაციებით, სამაშველო ჟილეტებითა და უსაფრთხოების საჭირო დეტალებით აღჭურვას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე მეთევზეები ზღვაში ვერ შედიან, რადგან შესაბამისი აღჭურვილობა არ აქვთ. ისინი რეგულაციების გადავადებას მოითხოვენ.

მეთევზეების განცხადებით, ახალი რეგულაციებით, თევზჭერის წესების დარღვევისათვის სანაპირო დაცვის ბრიგადების წარმომადგენლები მეთევზეებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებენ. მათი თქმით, ძალზე ხშირია ნავებისა და ბადე-იარაღების ჩამორთმევის ფაქტები.

როგორც მეთევზეები განმარტავენ, 2013 წლიდან, საკანონმდებლო ცვლილებებით პასუხისმგებლობის ზომები საგრძნობლად გამკაცრდა, საშუალო სიმძიმის დარღვევისთვის მეთევზეთათვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა, მათი თევზჭერიდან წლიური შემოსავლის დაახლოებით 30%-ს უდრის, რაც მეთევზეთა შეჭირვებულ ყოფას მეტად ართულებს.

ანაკლიაში მცხოვრები ჯემალ სოღტოღლი უკვე 50 წელია მეთევზეობას ეწევა და მისი ოჯახის შემოსავალიც ეს არის. ამბობს, რომ ერთი თვის წინ, ერთი კილო თევზის დაჭერის გამო 300 ლარით დააჯარიმეს. მისივე თქმით, შავ ზღვაში თევზის მოპოვება, ქართველ და თურქ მეთევზეებს არათანაბარ პირობებში უწევთ. აუცილებელია, მთავრობამ პრობლემა ლიცენზიების დარეგულირებით მოაგვაროს: **„თუ ეს რეგულაციები არ შეიცვალა, ულუკმაპუროდ დავრჩებით. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ადგილობრივ მეთევზეს 400-ლარიან ჯარიმას უწერენ. გემებს კი, რომლებსაც ქვიშიანად ამოჰყავს თევზი და ზღვის ფსკერს ანადგურებენ, არაფერს ეუბნებიან. ჩვენ ზღვაში 300 მეტრით გავდივართ და მოგვცენ თევზაობის შესაძლებლობა. სანაპირო დაცვის წარმომადგენლები სხვა ქვეყნის გემებს იცავენ, ადგილობრივ მეთევზეებს კი, რომლებიც ნავით გავდივართ ზღვაში და ორ კილო თევზს ვიჭერთ, 400-ლარიან ჯარიმებს გვიწერენ. მოვიდა სანაპირო დაცვის წარმომადგენელი, 20- მეტრიანი ბადე მაქვს და 300 ლარით დამაჯარიმეს. იმდენი დარღვევა ჩამომიწერეს, გაგეცინებათ. არადა, სულ ერთი კილო თევზი დავიჭირე. ამ რეგულაციების გამკაცრებით, მთავრობამ მშივრები დაგვტოვა“.**

ტრადიციულ მეთევზეებს კუთვნილი მცურავი საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისთვის ყოველწლიურად რამდენჯერმე უწევთ ბათუმში ჩასვლა — ბათუმის გარდა, ნავების ტექდათვალიერება სხვა რეგიონში არ ხდება. მეთევზეები პრობლემად მანძილსა და პროცედურის ფასს ასახელებენ. მათი თქმით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში რეგისტრაციისთვის 10-დღიანი ვადაა, რომლის საფასური 20 ლარია.

„დაჩქარებული წესით რეგისტრაციის ფასი 80 ლარია. გარდა ამისა, მცურავი საშუალებების ტექპასპორტი, პარამეტრების გათვალისწინებით, ცალკე, 50-დან 70 ლარამდე მერყეობს. აქედან გამომდინარე, სიშორის გამო, იძულებულები ვართ, ყველა დოკუმენტი დაჩქარებული წესით, იმავე დღეს ავიღოთ და 130-150 ლარის გადახდა გვიწევს. ამას ემატება გადაადგილების ხარჯიც. ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად გვაწვება. ნავის კომპენსაციის შემთხვევაში, ფაქტობრივად, ოჯახის რჩენის ერთადერთი წყარო გვეცლება ხელიდან. ჩვენი უფლებები დღითიდღე ირღვევა და დამცველი არავინაა“, – აცხადებს ანაკლიაში მცხოვრები მეთევზე **გივი სალია.**

გურიაში, კერძოდ, გრიგოლეთის ზღვისპირა ტერიტორიის მხოლოდ ერთ მონაკვეთზე მცხოვრები „სტარავერების“ 50-მდე ოჯახიდან, ახლა მხოლოდ 11-ია შემორჩენილი. როგორც ამბობენ, მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო მეთევზეობაა და ახალი რეგულაციების შესაბამისად, ამის უფლებასაც ართმევენ. მათი თქმით, უცხოელი მეწარმეები თევზჭერას არასტანდარტული ბადე-იარაღებით ახდენენ, რის გამოც უკვე განადგურდა სანაპირო ზოლის 70%.

„გრიგოლეთი მალე „სტარავერების“ გარეშე დარჩება. აქ თავს მეთევზეობით ვირჩენდით და ამის უფლებაც წაგვართვეს. მთელი დღე რომ ზღვაში იქნები, ორ კილო თევზს დაიჭერ და ამისთვის 300-ლარიან ჯარიმას გამოგიწერენ, სირცხვილია! თურქული გემები ანადგურებს სანაპირო ზოლს, თუმცა არავინ არაფერს ეუბნება. რამდენჯერმე დავაყენეთ ეს საკითხი შესაბამის უწყებებში, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია. მიღებული წესდებისა და კანონის თანახმად, უცხო ქვეყნების გემებს კი არა, ჩვენ დაგვდევენ. განუკითხაობაა. ვითხოვთ გარემოს დაცვის მინისტრთან შეხვედრას! ჩვენი მოთხოვნები თუ არ დაკმაყოფილდება, უკიდურეს ზომებს მივმართავთ“, — აცხადებს გრიგოლეთში მცხოვრები **ტარიელ ძიმისტარაშვილი.**

მეთევზეები ასევე საუბრობენ სანაპირო დაცვის თანამშრომლების არაკომპეტენტურობაზე — ჯარიმების წერის დროს, ოქმის შევსებას აჭიანურებენ და ზღვაში საათობით გვიწევს ყოფნაო.

ასოციაცია „ფლორა და ფაუნას“ აღმსრულებელი დირექტორი ამბობს, რომ საზღვაო ადმინისტრაცია, კანონში შესული ცვლილებების შესახებ მეთევზეების ინფორმირებას დროულად არ ახდენს. რამაზ მიქელაძე განმარტავს, რომ მეთევზეები სიახლეებს ისევ ერთმანეთისგან იგებენ: **„ბოლო პერიოდში მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებით გახშირდა თევზჭერის წესების დარღვევისთვის, სანაპიროს ბრიგადების დაჯარიმების ფაქტები. რამდენიმე მეთევზეს პატიმრობაც შეეფარდა. გამოვლენილი სამართალდარღვევის უმრავლესობა, მეთევზეებმა ერთი მხრივ გაუცნობიერებლად, მეორე მხრივ გამოუვალი მდგომარეობის გამო ჩაიდინეს. საქართველოში თევზჭერის წესების დებულებაში ყოველწლიურად საშუალოდ 3-4 მნიშვნელოვანი ცვლილება შედის. სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული მექანიზმი, რომლითაც სამართალდაღვევათა პრევენციისთვის, ახალი რეგულაციების შესახებ მეთევზეთა დროული ინფორმირება მოხდება. თევზჭერის წესების დიდი ნაწილი ზოგადია და მისი გაგება მეთევზეების ნაწილს უჭირს. თანაც, ეს წესები ისე შეიმუშავეს, პროცესში დაინტერესებული პირები, უპირველეს ყოვლისა კი, თავად მეთევზეები არ ყოფილან ჩართულები. დღეს მეთევზეების დამცველი არავინაა. ისინი ითხოვენ კანონმდებლობის დახვეწას. ძირითადად სანაპირო დაცვის სამსახურთან აქვთ უთანხმოება. ხშირად უსამართლო და არაადეკვატურ ჯარიმებს უწერენ და მეთევზეების სოციალურ მდგომარეობას არ ითვალისწინებენ. ნაოსნობის რეგლამენტი, რომელიც საზღვაო ადმინისტრაციამ შემოიღო, არასწორია. გემებისა და ნავებისთვის იდენტური რეგლამენტია. ნაოსნებს აღჭურვილობა, რასაც კანონი ავალებს, ათას დოლარამდე უჯდებათ. ასეთი შემოსავალი კი მეთევზეებს არ აქვთ. ჩვენ დავიწყეთ ამ საკითხებზე მუშაობა და ლოგიკური მოთხოვნებიც დავაყენეთ საზღვაო ადმინისტრაციის წინაშე. პრობლემა გამოსწორებისკენ მიდის და ვნახოთ, რა იქნება“.**

ბათუმის საზღვაო ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ მეთევზეების უფლებები და უსაფრთხოება აუცილებლად იქნება დაცული.

თიბისი ბანკი სამთო ტურიზმის განვითარებისთვის დაჯილდოვდა

პრესტიჟულმა ფინანსურმა გამომცემლობამ Trade and Forfaiting Review, თიბისი ბანკის ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქცია, 2014 წელს, მსოფლიოში 15 საუკეთესო ტრანზაქციას შორის დაასახელა. ეს ტრანზაქცია გულისხმობდა გარიგებას, რომლითაც თიბისი ბანკის მიერ გაცემული საერთაშორისო აკრედიტივების საშუალებით, „საქართველოს მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“, იტალიიდან ხელოვნური თოვლის მწარმოებელი აპარატურის იმპორტი განახორციელა. შედეგად, გუდაურსა და ბაკურიანში, ბუნებრივი პირობების მიუხედავად, სათხილამურო სეზონი შეუფერხებლად ჩაივლის.

თიბისი ბანკში აცხადებენ, რომ საქართველოს სამთო კურორტების — გუდაურისა და ბაკურიანის ხელოვნური გათოვლიანების პროექტი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტთა რაოდენობის მატებას, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებასა და შესაბამისად, დასაქმების ზრდას.

„ჩვენ ვამაყობთ ამ მნიშვნელოვანი აღიარებით, რომელიც ვაჭრობის დაფინანსებისა და კორპორატიული ბანკინგის მიმართულებით მოვიპოვეთ. მოხარულები ვართ, რომ ამ ტრანზაქციით, საქართველოს ზამთრის კურორტებზე, მნიშვნელოვნად შევუწყვეთ ხელი ტურიზმის განვითარებას“, — განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, **ვახტანგ ბუცხრიკიძემ**.

ჟურნალი Trade and Forfaiting Review, საუკეთესო გლობალური ტრანზაქციების გამოსავლენად, კონკურსს ყოველწლიურად ატარებს. წელს, მსოფლიო მასშტაბით, ამ კონკურსზე 180 ტრანზაქცია იყო წარმოდგენილი. სწორედ, ამ 180 ტრანზაქციას შორის შეარჩიეს 15 საუკეთესო.

თიბისი ბანკთან ერთად, გამარჯვებული ბანკები არიან ისეთი ცნობილი საფინანსო ინსტიტუტები, როგორებიცაა: HSBC, RBS, Deutsche Bank, Citi, ING, Société Générale, ABN AMRO და BNP Paribas.

1. ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში
2. რაიმე საბუთის მეორე პირი
3. დიდი მოხრილი უკეცი დანა
4. უფლისწული „სიბრძნე სიცრუესაში“-
5. ხატოვანი, მხატვრული განსაზღვრება
6. ცირტუსების ბაღი
7. დიონისეს კვერთხი
8. გარეული ღორი
9. აშშ-ის შტატი
10. გონებრივი განვითარების დონე
11. წყვილი ერთიანი კამათელზე
12. ადამის და ევას მესამე ვაჟი
13. ცხენის გასარეკი ტარიანი თასმა
14. მაგარმერქნიანი ხე თეთრი ყვავილებით
15. 16-წლამდე ასაკის სპორტსმენი
16. ხელოვნური თმები
17. იმპოტენციის სამკურნალო წამალი
18. შავი ობობასებრი მაიმუნი
19. გმირი, მამაცი მეომარი
20. აპრილის ძველქართ. სახელი
21. ჯოჯოხეთის ცეცხლი
22. ექსკურსიამძღოლი
23. ფარული დაცინვა
24. კანადის დედაქალაქი
25. აშშ-ის შტატი
26. სახელმწიფოს ფულადი დახმარება
27. დიდი ჩაქუჩი
28. წყლის ტრამვაი ვენეციაში
29. ვაზის ფოთოლში გახვეული ფარში
30. ქალი, დედაკაცი
31. მუს. ნაწარმოების ფორმა
32. სუფთა წონა
33. გასართ. სანახაობა
34. გერმანული ავტომარკა
35. მსახიობი აიშვარია ...
36. ბავშვის სასრიალო მარხილი
37. აშშ-ის ტელეპრემია
38. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
39. ხალიჩის ძველქართ. სახელი
40. ახლად გამოსული აბრეშუმის ჭია
41. ჯავშნიანი რეპტილია
42. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
43. ბგერის ანარეკლი
44. ქართული ანბანის 33-ე ასო
45. მუხის ნაყოფი
46. ღმერთების დედა ვედიზმში
47. რაიმე საქმის დოკუმ. ერთობლიობა
48. მდინარე ლონდონში
49. ალ. დიუმას „... წლის შემდეგ“
50. ბრავოზე უფრო დიდი აღტაცების გამომხატველი ტერმინი
51. სურნელოვანი მწვანილი
52. ისრაელის წარმოების ავტომატი
53. იუდაიზმის უზენაესი ღმერთი
54. ხეებით დაფარული დიდი სივრცე
55. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
56. ტბა აღმოსავლეთ აფრიკაში
57. სანელებელი მცენარე
58. პარაგვაის ჩაი
59. ქალაქ ტრიპოლის ძველი სახელწოდ.
60. ქალის თაყსაბურავი, პირბადე
61. მატარებლების სადგომი
62. იაპონ. მწერალი ქენძაბურო ...
63. ქალაქი იაპონიაში

როგორ გაგისტუმროთ ბანკის ვალი

ბულგარეთში ერთ-ერთი ოჯახის უფროსი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც სამწუხაროდ, დღეს უკვე ჩვეულებრივი ამბავია თითქმის მთელ მსოფლიოში. კრედიტის ასაღებად ერთადერთი სახლი დააგირავა, ბანკის ვალის გასტუმრება კი ვერ შეძლო. თუმცა, მეტად უჩვეულო გამოსავალი მოძებნა: ექსკავატორი დაიქირავა, სახლი საძირკვლამდე დაანგრია და ნანგრევები ბანკში წაიღო. არა, ის არ გაგიჟებულა დარდისგან. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკის საკუთრებაში გადადიოდა მხოლოდ სახლი და არა მიწა, რომელზეც სახლი იყო აშენებული. ოჯახმა მოითათბირა და გადაწყვიტა, დაენგრია უკვე სხვის საკუთრებაში არსებული შენობა, შემდეგ ბანკისთვის „მიეცათ“, მიწაზე კი დროთა განმავლობაში ახალი სახლი აეშენებინათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიდრე ოჯახი ასეთ რადიკალურ ნაბიჯს გადადგამდა, ბანკთან მოლაპარაკება სცადა. მაგრამ მენეჯერმა უარი განუცხადა — ბანკის წესები არავითარ გამონაკლისს არ ითვალისწინებსო.

პიცა გასდოების ესურველთათვის

დიეტის დროს ადამიანებს ხშირად უჭირთ საყვარელ პროდუქტზე უარის თქმა. ერთ-ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ ამ პრობლემის გადაჭრა გადაწყვიტა და გასახდომი პიცა შეიმუშავა. ამ დაბალკალორიული კერძისთვის საჭირო ნაკრებში შედის ორი პაკეტი — ერთი ფხვნილია ცომისთვის, რომელშიც მცენარეული ცხიმი და კვერცხის ცილაა, მეორეში კი — ტომატის სოუსი. კერძის მოსამზადებლად ფხვნილებს წყალი უნდა დაუმატოთ და საგულდაგულოდ აურიოთ. პიცისთვის ყველის დამატება რეკომენდებული არ არის, რადგან ბევრ კალორიას შეიცავს, სამაგიეროდ, მსურველებს ბოსტნეულის დამატება შეუძლიათ, რომელშიც ნაკლები ნახშირწყლებია — ბულგარული წიწაკა, სოკო, პომიდორი, ისპანახი და წითელი ხახვი. მზა პიცა მხოლოდ 200 კალორიას შეიცავს, რაც 300-ით ნაკლებია ტრადიციულზე. გასახდომი პიცის მწარმოებლები აღნიშნავენ, რომ მათი პროდუქცია გამდიდრებულია ვიტამინებით, მინერალებითა და დიდი რაოდენობის ცილით.

საყვარელი საკვები — ტუალეტის ქაღალდი

ბრიტანელმა ახალგაზრდამ აღიარა, რომ ყოველდღე ერთ რულონ ტუალეტის ქაღალდს მიირთმევს. 25 წლის ჯეიდ სილვესტრი, 5 შვილის დედა აცხადებს, რომ ამ უჩვეულო პროდუქტის ჭამა ფეხმძიმობის მეორე თვეზე დაიწყო. ვერ ამიხსნია, ეს რატომ მოხდა. ძალიან მომწონს ქაღალდის ტექსტურა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მისი გემო. მომწონს სიმშრალის შეგრძნება პირში, — ამბობს ჯეიდი. ეს მისწრაფება არ გამქრალა ფეხმძიმობის შემდეგაც და უკვე ერთი წელია, სილვესტრი ტუალეტის ქაღალდს მიირთმევს. ამასობაში, მას საყვარელი სახეობებიც გაუჩნდა — ბრიტანელი უპირატესობას ანიჭებს იმ სავაჭრო მარკებს, რომელსაც სუპერმარკეტების ბრენდები უშვებს. ეს უცნაური მისწრაფება აშინებს არა მხოლოდ ჯეიდს, არამედ მის ახლობლებსაც, მაგრამ მავნე ჩვევას ვერაფერს შველიან. თანდათანობით კი სილვესტრი სულ უფრო მეტ ქაღალდს ჭამს, კმაყოფილება რომ იგრძნოს. მედიკოსები ამბობენ, რომ საკვებად უვარგისი პროდუქტის მოხმარება ფეხმძიმობისას საშიშია არა მხოლოდ დედისთვის, არამედ მომავალი შვილისთვისაც. თუმცა, ბიჭი, რომელიც ჯეიდიმ გააჩინა, სრულიად ჯანმრთელია.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5		1						3
7					1	2	9	
	9							
	2			6				
	8	9	4		7	1	5	
				3			2	
							7	
	7	3	6					5
6						8		1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					8		7	
				6			1	
7	6				9	8	4	
1					7		9	
	8						2	
	2		9					1
	7	2	1				6	3
	4			7				
	3		6					

ᲠᲗᲣᲚᲘ

			9					2
		2	1			7	9	
			4	3	2	6		
			5				3	
	7	3				4	5	
	5				8			
		1	8	6	9			
	2	9			3	1		
4					5			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	8				4		2	
	4	6	2	1		5		
					7			4
					2	6	9	
	6	3		9		1	8	
	9	5	8					
9			7					
		2		4	1	7	5	
	1		5				4	

ახალი ზოოპარკი — ადამიანები გალიაში

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის ველური ბუნების ზოოპარკი-ნაკრძალის ადმინისტრაციამ მისი მონახულების ჩვეულებრივი ფორმატი შეცვალა — ახლა აქ ადამიანები ფულს იხდიან, რათა გალიებში დაამწყვდიონ მაშინ, როცა ლომები და ვეფხვები ირგვლივ თავისუფლად დასეირნობენ. ასეთი თავგადასავალი იმიტომ მოიფიქრეს, რომ ხალხს აჩვენონ, როგორი იქნებოდა მტაცებლებთან შეხვედრა ბუნებაში და არა ჩაკეტილ სივრცეში უსაფრთხო მანძილიდან. იდეა იმდენად მიმზიდველი და პოპულარული აღმოჩნდა, რომ სანახაობაზე ბილეთები მომდევნო სამი თვისთვის უკვე გაყიდულია. ადამიანები ფულს არ იშურებენ, რათა სატვირთოს ძარაზე გალია იდგეს, ვიდრე მანქანა პარკს შემოივლის. სანახაობა რომ უფრო „მძაფრი“ გამოსულიყო, ზოოპარკის მეთვალყურეებმა გალიას გარედან უმი ხორცის ნაჭრები მიამაგრეს, მტაცებლების ყურადღების მისაქცევად.

მელოტ კლიენტებს ფასდაკლებას სთავაზობენ



ახალი რესტორანი, რომელიც იაპონიის დედაქალაქში გაიხსნა, სპეციალურ შეთავაზებას აკეთებს მელოტი კლიენტებისთვის. ამ გზით დაწესებულების მფლობელს სურს, პატივისცემა გამოხატოს ტოკიოს ოფისების თანამშრომლებისადმი, რომელთა უმრავლესობასაც, სტრესისა და გამოუძინებლობის გამო, მელოტდება. რესტორნის უთმო სტუმრები საჩუქრად უფასო დესერტსა და სასმელს იღებენ. მნიშვნელოვანი ფასდაკლება ვრცელდება სადილის შვედურ მაგიდაზე, რომელსაც იაპონელები აქაური ტრადიციებით, დიდი კამპანიით ესწრებიან ხოლმე. თუ ასეთ ჯგუფში ერთი მელიტი ადამიანია, საერთო ანგარიშიდან 500 იენს აკლებენ, ორ მელოტზე ფასდაკლება 750 იენია, სამზე — 1000, ოთხზე — 1500, ხოლო თუ კამპანიაში ხუთი ან ექვსი გამელოტებული კლიენტია, მათ სიურპრიზებითა და სპეციალური, „საიდუმლო“ მენიუთი ანებივრებენ. მომავალში რესტორნის მფლობელი აპირებს სპეციალური კერძების შექმნას უთმო მომხმარებლისთვის, რომელიც თმის ზრდას შეუწყობს ხელს და მათ ამ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

ციფრული ტატუ-თერმომეტრი

CES 2015 გამოფენაზე კომპანია VivaLnk-მა ახალი, „ციფრული ტატუირება“ — eSkin Thermometer წარადგინა, რომლის დანიშნულებაც სიცხის გაზომვაა. სიახლე NFC-სტიკერს წარმოადგენს, რომელსაც საყვარელი დათუნიას ფორმა აქვს და იდეალური იქნება ბავშვებისთვის, განსაკუთრებით კი ჩვილებისთვის ტემპერატურის გასაზომად — კლასიკური თერმომეტრით პატარებისთვის სიცხის გაზომვართულია ხოლმე, ახალი თერმომეტრის მუშაობის საფუძველი კი NFC-ტექნოლოგიაა: საკმარისია თქვენი სმარტფონი მიიტანოთ დათუნია-სტიკერთან და მისგან ტემპერატურის თაობაზე მონაცემებს იღებთ. დასაკრავი „სათამაშო“ 15 დღის განმავლობაში მუშაობს და მისი გარეცხვაც შესაძლებელია. სიახლე გაზაფხულიდან გაიყიდება და 15-20 დოლარი ეღირება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	5	4	1	8	3	2	9	7
3	2	1	4	9	7	8	6	5
9	8	7	6	5	2	4	1	3
7	3	6	5	2	4	1	8	9
4	1	5	9	7	8	6	3	2
2	9	8	3	1	6	7	5	4
5	7	3	8	4	1	9	2	6
1	6	2	7	3	9	5	4	8
8	4	9	2	6	5	3	7	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	1	6	4	2	7	9	5	3
5	9	4	6	8	3	7	2	1
2	3	7	5	1	9	8	4	6
7	6	5	3	9	2	1	8	4
4	8	3	1	6	5	2	9	7
1	2	9	8	7	4	6	3	5
6	5	2	9	4	1	3	7	8
3	7	1	2	5	8	4	6	9
9	4	8	7	3	6	5	1	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	9	6	1	7	8	4	5	3
7	1	5	6	4	3	9	2	8
4	3	8	5	2	9	1	7	6
1	8	7	4	6	5	3	9	2
3	6	4	7	9	2	8	1	5
9	5	2	8	3	1	7	6	4
6	2	3	9	1	4	5	8	7
5	7	1	3	8	6	2	4	9
8	4	9	2	5	7	6	3	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	9	6	5	4	1	3	2	8
5	4	2	8	9	3	6	7	1
8	3	1	2	7	6	9	5	4
1	2	5	4	3	9	8	6	7
9	7	3	1	6	8	2	4	5
6	8	4	7	5	2	1	9	3
4	6	9	3	8	7	5	1	2
3	1	7	6	2	5	4	8	9
2	5	8	9	1	4	7	3	6

მე-10 გვერდი: 1. პირანია; 2. წამწამი; 3. პალატა; 4. რეგანა; 5. ნერსე; 6. ალაფი; 7. წრუწუნა; 8. მაყალი; 9. ამაო; 10. ინია; 11. ალეგორია; 12. არანჟირება; 13. დოდეკაედრი; 14. მაკარონი; 15. მურყვამი; 16. საფანტი; 17. ირაო; 18. ყბა; 19. ტანდემი; 20. მარაო; 21. ოსმიუმი; 22. ისლანდია; 23. ელო; 24. აკადემია; 25. ქუსლი; 26. ნაირობი; 27. მაკინტოში; 28. დეკა; 29. „ავეო“; 30. უკულელე; 31. ფაუ; 32. ვერიკო; 33. კანოე; 34. სასა; 35. კანდელაკი; 36. კორა; 37. ურნა; 38. შუ; 39. ანო; 40. ნიუ; 41. მონა; 42. ოდიში; 43. ნოე; 44. რეი; 45. ტატუ; 46. აბი; 47. ნაირა; 48. იან; 50. ტენგე; 51. „დიელო“; 52. კარცერი; 53. რელე; 54. დუმა; 55. ბარი; 56. იმაგო; 57. გოა; 58. ობი; 59. ეოლე; 60. ანალები; 61. ინარი; 62. ბატი; 63. ზმა; 64. ბოცა; 65. ემისია; 66. ფა.

მე-12 გვერდი: 1. ბიოგრაფია; 2. კასტეტი; 3. ბუკინისტი; 4. ორლეანი; 5. რეიდი; 6. ავიეტი; 7. ტეხური; 8. ტოპი; 9. სკალპი; 10. ნიავი; 11. ვუდუ; 12. ტარა; 13. ავიაცია; 14. აპოხტი; 15. აიოვა; 16. ანტალია; 17. უნცია; 18. მირიანი; 19. დიასი; 20. „აინტრახტი“; 21. ლესბოსი; 22. ნევა; 23. რტო; 24. არფა; 25. აპოგეა; 26. აია; 27. აზალია; 28. ცერი; 29. ვიგო; 30. გრაცი; 31. პირატი; 32. გუსტავ კლიმტი; 33. ისინდი; 34. სოს; 35. კირი; 36. ფრესკა; 37. ტაბაკა; 38. კროლი; 39. სერენადა; 40. აარე; 41. ტუ; 42. კუპე; 43. კამერტონი; 44. ემისია; 45. რიანა; 46. ბრნო; 47. ანგინა; 48. იბისი; 49. ლესკო; 50. ტრაპი; 51. ვეა; 52. იაკუძა; 53. ანორაკი; 54. ევრიკა; 55. ფრე; 56. ბრაილი; 57. კატა; 58. იდო; 59. ადლი; 60. ბარბეკიუ; 61. ძუ; 62. ტვინი; 63. მარინა; 64. ლარი; 65. ილორი; 66. აბიო; 67. ნოე; 68. სპა; 69. ინია; 70. ბორდო; 71. ნიორი; 72. ნისლი; 73. რაეო; 74. მი; 75. ნიასა; 76. ალი; 77. პალატა; 78. ნოკია; 79. კიი; 80. ბაო; 81. ატა; 82. სირიუსი; 83. აული; 84. ეტაპი; 85. უტ; 86. პალმირა; 87. „აკაი“; 88. ასი; 89. არია.

ლოყაზე კოცნისთვის დაჯარიმეს

ესპანელი ავტომოყვარული ქალბატონი 80 ევროთი დაჯარიმდა მხოლოდ იმის გამო, რომ მისმა მგზავრმა, ტრანსპორტის მოძრაობისას, მძღოლის მიმართ „ნაზი გრძნობები“ გამოხატა. ქალაქ კარბალინიოს მცხოვრებმა „ბოიფრენდს“ მიაკითხა. როცა ახალგაზრდა მამაკაცი ავტომანქანის სალონში იმყოფებოდა, შეყვარებულს ლოყაზე აკოცა და ეს ჯარიმის მიზეზი გახდა. მძღოლი ამტკიცებს, რომ თავად გზისთვის წამითაც არ მოუცილებია თვალი და მაგისტრალიც იმ დროს, პრაქტიკულად, ცარიელი იყო — ასე რომ, საფრთხე არავისთვის შექმნია. ამის მიუხედავად, შეყვარებულებმა ერთი კილომეტრის გავლაც ვერ მოასწრეს, მათი მანქანა ადგილობრივმა საგზაო პოლიციამ გააჩერა. მიზეზი „გზაზე უცნაური მანერების“ გამოვლენა იყო. ახლა ესპანელს „შეუფერებელ დროს“ შეყვარებულის კოცნისთვის სოლიდური თანხის — 80 ევროს გადახდა მოუწევს.

1. მსარეთა თანასწ. პრინციპი კონფლიქტის გარჩევისას
2. უნგრული ხალხური ცეკვა
3. აბეზარი ფოტოგრაფის აღმნიშვნელი სიტყვა
4. ივივეა, რაც სარწმუნოება
5. სტანდარტული ფორმის მოკლე ამოცანა
6. ერთ-ერთი მუმკეტერი
7. ქმრის დედა
8. მეფე „ათას ერთ ღამეში“
9. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
10. ჯოყოლას გვარი „სტუმარ-მასპინძელში“
11. ფარფლ-ფეხიანი ძუძუმწოვარი ცხოველი
12. აშშ-ის შტატი
13. მზის ქალღმერთი იაპონურ მითოლოგიაში
14. ნიგერის დედაქალაქი
15. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
16. ერთგვარი დიდი ხვლიკი
17. მელოტის „ოცნება“
18. ძაღლის ჯიში
19. ლომების ოჯახი
20. აჯიკის გემო
21. კოლხეთი ანტიკურ ლიტერატურაში
22. სასწავლებელთან არსებული საერთო საცხოვრებელი
23. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
24. ქალაქი შიდა ქართლში
25. ხაჭაპურის სახეობა
26. დიდი თეფში
27. კათოლიკ. მამათა მონასტრის წინამძღვარი
28. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
29. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
30. მსახიობი ... კრუზი
31. დიდი ინგლისელი პოეტი
32. თეთრი ან მომწვანო რბილი მინერალი
33. ხერხემლის ძვალი
34. ორი ათეული
35. ზევსის დედა
36. ქალაქი რაჭაში
37. ფუფალას სატრფო
38. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
39. აფრიკის უკიდურესი სამხრეთი კონცხი
40. „ფოლკსვაგენის“ მოდელი
41. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
42. მესამე მუსიკალური ინტერვალი
43. იეთიმ გურჯის ნამდვილი გვარი
44. ცეცხლის მნათი ნაწილი
45. სატელეფონო სიტყვა
46. მაუგლის პითონი
47. კორეული საბრძ. ხელოვ.
48. ქალაქი ლიტვაში
49. ესპერანტოს ვარიანტი
50. ვულკანური მინა
51. სახელმწიფო ...-ლეონე
52. რადიოტალღების დამჭერი მოწყობილობა
53. წარსულში ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი
54. ინგლისური სქელი ლუდი
55. კაენის მსხვერპლი
56. მომკილი თავთავის კონა
57. ძველი სპარსული ენა
58. დიდი სიზუსტე მათემატიკაში
59. იაპონური ძაღლის ჯიში აკიტა-...
60. ასტრონომიული კუთხე
61. მრიათის პრინციპებზე გამოტ. სამართ. გადწყვეტილ.
62. ველური კომში
63. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
64. ლუჩანო პავაროტის სასიმღერო ხმა
65. სოფელი წალენჯიხის რაიონში
66. ჰოლანდიელი ფერმწერი
67. „რომეო და ჯულიეტას“ პერსონაჟი
68. უნგრელი მწერალი მორ ...
69. კრემიანი ნამცხვარი
70. ცისკარას სატრფო
71. კეთილი სული ევროპულ მითოლოგიაში
72. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
73. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
74. რაიმე საქმის საბუთების ერთობლიობა
75. ინდოელთა სულიერი მოძღვარი
76. ცნობილი პოლონელი კინორეჟისორი
77. ქართველი პოეტი სევერიან ...
78. შლამის თევზი
79. ჩინურიაპონური შაში
80. საწერი მაგიდის სახეობა
81. დაბალი ბუსუსები ქსოვილის კარგ პირზე
82. ზღვის ფანტასტიური არსება ბერძნულ მითოლოგიაში
83. წყალქვეშა კლდე
84. უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
85. „ბითლზის“ წევრი ... მაკარტნი
86. დიდი ჩაქუჩი
87. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა
88. მათემატიკური მუდმივა
89. დამუხტული ატომი
90. ჯავშნიანი ქვეწარმავალი

ხორცის რესტორანი ვეგეტარიანელებისთვის

ამერიკელი ობრი კაილ უელში აპირებს, ქალაქ პორტლანდში ხორცის რესტორანი Herbivorous Butcher გახსნას ვეგეტარიანებელისთვის. მენიუში იქნება ხორცის შემცვლელები, რომელთაც ისეთივე სახე ექნებათ, როგორც ხორცპროდუქტს — ძეხვს, კოტლეტს, ქაბაბსა და სხვას. ობრის უკვე გასინჯული აქვს მსგავსი უჩვეულო მენიუ ფერმერთა ბაზრობაზე, სადაც ყოველ პროდუქტს დიდი მოწონება ჰქონდა და სწრაფადაც იყოდებოდა. იდეის განსახორციელებლად უელშმა 61 ათასი დოლარი მოაგროვა და, როგორც ვარაუდობენ, აპრილისთვის რესტორანი სახელწოდებით „ბლახისმჭამელი მეხორცე“ უკვე გაუღებს კარს ვეგეტარიანელებს. აღსანიშნავია, რომ მგავსი ორიგინალური იდეა ამერიკელებზე ადრე ავსტრალიელებს დაებადათ, „მწვანე კონტინენტზე“ უკვე მოქმედებს რამდენიმე ასეთი დაწესებულება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.